

სამართალდამცავთა მხრიდან
არასათანადო მოპყრობის
შემთხვევათა გამოძიების
ხარვეზები და მსხვერპლთა
სამართლებრივი
მდგომარეობა
საქართველოში

მომზადებულია “ღია საზოგადოების ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით.
ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა
არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი
მასალის შინაარსზე.

სარჩევნი

თავი 1. შესავალი.....	5
თავი 2. მეთოდოლოგია.....	5
თავი 3. ძირითადი მიგნებები.....	6
თავი 4. პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებული ტენდენციები.....	8
თავი 5. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურამდე.....	14
თავი 6. საერთაშორისო სტანდარტები და სტრატეგიული სამართალწარმოება	19
თავი 7. სტატისტიკური მონაცემები.....	20
თავი 8. პოლიციელთა მხრიდან წამების, არასათანადო და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.....	23
თავი 9. რეკომენდაციები	35

თავი 1. შესავალი

საქართველოში კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება პოლიციის მიერ დაკავებული პირების მიმართ წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის შემთხვევები და მათზე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან არასათანადო რეაგირება. აღნიშნულ დანაშაულებზე არადროული და არაეფექტური რეაგირება კი ნეგატიურად მიანიშნებს ქვეყანაში არსებული სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოების ფუნქციონირების ხარისხზე. აღნიშნულს თან ერთვის შესაბამისი დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის არარსებობა¹, მაშინ, როდესაც პროკურატურა შესაბამისი ხარისხით ვერ უზრუნველყოფს სამართალდამცავების მხრიდან სავარაუდო დანაშაულების გამოძიებას.

არსებული ვითარების დეტალურად შესწავლისა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებისათვის, ჩატარდა კვლევა, რომლის პირველადი მიზანია პოლიციის მიერ წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის საქმეებზე გამოძიების საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზების, ასევე არსებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ასევე, მსხვერპლთა უფლებრივი მდგომარეობის შეფასება. „ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიების მოთხოვნის მიუხედავად, საქართველოს პროკურა-

ტურა, როგორც საქმეთა ქვემდებარეობით უფლებამოსილი ორგანო, ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულების შესრულებას ეფექტიანი გამოძიების ჩატარების თვალსაზრისით. აღნიშნული გარემოება კი დადასტურებულია როგორც საქართველოს სახალხო დამცველის, ასევე ადგილობრივი და გავლენიანი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევაში განხილულ არაერთ ანგარიშში.

გემოთხსენებული მიზნების მისაღწევად, კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა როგორც საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის, სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები და კვლევები. კვლევის მნიშვნელოვან ნაწილს GDI-ს და სხვა ადგილობრივი ორგანიზაციების წარმოებაში არსებული საქმეების და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი წარმოადგენს. კვლევა მოიცავს დასკვნებსა და რეკომენდაციებს, რამაც, ჩვენი აზრით, ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების ეფექტიან გამოძიებასა და მსხვერპლთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

თავი 2. მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს პოლიციის მიერ წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის საქმეებზე გამოძიების საკანონმდებლო და

პრაქტიკული ხარვეზების და არსებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ასევე, მსხვერპლთა სამართლებრივი მდგომარეობის შეფასება, ხოლო მისი ამოცანა

¹ დღეის მდგომარეობით საქართველოს პარლამენტმა მიიღო „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონი, რომლის ფარგლებშიც სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს დამოუკიდებლად გამოიძიებს სახელმწიფო ინსპექტორი. კანონი ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან

2013-2017 წლებში მომხდარი შემთხვევების გამოძიების ეფექტიანობის შეფასებაა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კვლევის ფარგლებში, შესწავლილ იქნა GDI-ს წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის 10 საქმე და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიდან² მიწოდებული ინფორმაცია მათ წარმოებაში არსებული წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტებზე (სულ 38 შემთხვევა).

ამასთან, სრულყოფილი სურათის შესაქმნელად, სოციოლოგის მონაწილეობით შემუშავდა ორი ტიპის კითხვარი - ადვოკატებისა და მსხვერპლთათვის - რომელთა საფუძველზე გამოიკითხა წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის 9 მსხვერპლი და 132 ადვოკატი.

გაანალიზდა საქართველოს სახალხო დამცველის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების 2013-2017 წლებში გამოცემული ანგარიშები პოლიციელთა მხრიდან წამების, არასათანადო და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტებზე რეაგირებისა და ეფექტური გამოძიების ჩატარების თვალსაზრისით.

კვლევაში განხილულია გამოძიების ეფექტურობის მიმართ არსებული საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს

კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ასპექტები. ამავე ჭრილში, იმის დასადგენად, თუ რამდენად პასუხობს არსებულ გამოწვევებს და შეუძლია თუ არა მოაგვაროს საგამოძიებო პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები შეფასდა საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებული და პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონი “სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ”.

კვლევის ფარგლებში საქართველოს პროკურატურიდან და საქართველოს უზენაესი სასამართლოდან გამოვითხოვეთ და შევისწავლეთ სტატისტიკური ინფორმაცია, ასევე ამ კატეგორიის საქმეებზე საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენები. ამ ინფორმაციის ანგარიშში წარმოდგენილი ანალიზი სრულ სურათს იძლევა იმისათვის, რომ შეფასდეს სახელმწიფოს მხრიდან წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების გამოძიების ეფექტიანობა.

გემოთ ხსენებული ინფორმაციების გაანალიზების შედეგად, ანგარიშის ბოლოს წარმოდგენილია კვლევის ფარგლებში გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ ჩვენეული ხედვა და შესაბამისი რეკომენდაციები.

თავი 3. ძირითადი მიზნებები

2013-2017 წლებში მომხდარი შემთხვევების გამოძიების ეფექტიანობის შეფასებისას, კვლევის ფარგლებში მოძიებული ინფორმაციისა და მისი ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები საკუთარ ანგარიშებში, ხოლო

საქართველოს სახალხო დამცველი მის მიერ 2014-2017 წლებში მომზადებულ სპეციალურ თუ ყოველწლიურ ანგარიშში ყურადღებას ამახვილებენ რა პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების პრობლემის მზარდ ტენდენციაზე, მნიშვნელოვან გარემოებად გამოყოფენ ამ კატეგორიის საქმეებზე როგორც გამოძიების არ დაწყებას ან დაგვიანებით

2 საკუთარ წარმობებაში არსებული საქმეები მოგვაწოდეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“; „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა“; „ადამიანის უფლებათა ცენტრმა“

დანებებს, ასევე გამოძიების წარმართვას არასწორი კვალიფიკაციით, ხშირ შემთხვევაში მიკერძოებული ორგანოს მიერ და დაზარალებულის არასაკმარის ჩართულობას გამოძიების პროცესში. აღნიშნული პრობლემები ანგარიშის ავტორთა აზრით იწვევს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობას. შესაბამისად ყველა ანგარიშში რეკომენდირებულია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შემქნა.

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები, ასევე “სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონი პოლიციელთა მხრიდან წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიების კუთხით, კვლავ ტოვებს ხარვეზებს სახელმწიფოს მიერ ამ კატეგორიის საქმეების ეფექტიანი გამოძიების ვალდებულების შესრულების ნაწილში, მაგალითად: ჯერ კიდევ არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ჩანაწერები, რომლებიც მთავარი პროკურორის ანიჭებს ისეთ უფლებამოსილებას, რაც საფრთხეს უქმნის გამოძიების ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას.
- საქართველოს პროკურატურის მიერ პოლიციელთა მხრიდან დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტებზე გამოძიების დაწყების მაჩვენებელი 2014 წლიდან მატულობს, თუმცა ამის პროპორციულად 2014-2015 წლებში მნიშვნელოვნად არის შემცირებული როგორც წამების, არაადამიანური ანდა ღირსების შემლახავი მოპყრობის კვალიფიკაციით გამოძიების დაწყება, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემთხვევები. განსაკუთრებით რთული ვითარებაა 2016-2017 წლებში, მაშინ როცა გამოძიება დაწყებულია 322 საქმეზე და მათგან მხოლოდ 6 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, ისიც საქართველოს სისხლის

სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით - სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების კვალიფიკაციით. ასეთი სტატისტიკური მაჩვენებლები, იმ ფონზე რომ რეალურად სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტები ქვეყანაში წლიდან წლამდე მატულობს, პირდაპირ მიუთითებს სათანადო გამოძიებისა და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის პრობლემაზე და ადასტურებს საქართველოს სახალხო დამცველისა თუ სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ექსპერტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ამ კატეგორიის საქმეების არაეფექტიან გამოძიებასთან დაკავშირებით;

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ, 2017 წლის 11 აგვისტოს, მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ საერთო სასამართლოების მიერ 2013-2017 წლებში საქართველოს სსკ-ის 144² მუხლით არც ერთი სისხლის სამართლის საქმე არ განხილულა, ხოლო 144¹ და 144³ გათვალისწინებულ დანაშაულებზე სულ განხილულია 25 სისხლის სამართლის საქმე, 85 პირის მიმართ, რომელთაგან 18 (მათი უმრავლესობა ბრალდებული იყო წამების ჩადენაში) გამართლებულ იქნა სასამართლოების მიერ. სამწუხაროდ, უზენაესი სასამართლოს მოწოდებული ინფორმაციიდან შეუძლებელია იმ საქმეების იდენტიფიცირება რომელიც სამართალდამცავთა მხრიდან ამ მუხლებით ჩადენილ დანაშაულს ეხება. საერთო სასამართლოებიდან გამოთხოვილი განაჩენებით კი დგინდა, რომ ამ მუხლით განხილული საქმეებიდან არცერთი არ არის სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებული და განაჩენთა აბსოლუტური უმრავლესობა კერძო პირთა მხრიდან ჩადენილ დანაშაულზეა გამოტანილი. არ არსებობს ამ კატეგორიის საქმეებზე გამოძიების დაწყების საფუძვლების შეფასების ერთიანი სტანდარტი და ეს

გადაწყვეტილება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამომძიებლის და მისი საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის მიერ, ხშირად დაგვიანებითაც მიიღება; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კი მიუთითებს, რომ არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიების საკითხის გადაწყვეტისას საგამოძიებო ორგანოები უნდა ხელმძღვანელობდნენ გამოძიების დაწყების ისეთი სტანდარტით, რომ გამოძიების დაწყებისთვის ამგვარ საქმეებზე საკმარისი იყოს პირის დასაბუთებული საჩივარი.

- ამასთანავე, შესწავლილი საქმეები აჩვენებს, რომ საქართველოს პროკურატურა თავს არიდებს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სწორ კვალიფიკაციას, მაშინ როცა ცალკეულ შემთხვევებში სახეზეა არასათანადო მოპყრობის მოტივი (ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება) ან ისეთი მოპყრობა (ინტენსიური ცემა ანდა ცემა ისეთი ძალით და ისეთ ორგანოებში, რომელიც ამ ძალადობის შეწყვეტის შემდეგაც ხანგრძლივ ფიზიკურ ტკივილს იწვევს),

რომელიც ძლიერ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტკივილს ან/დამორალურ ტანჯვას იწვევს. ეს შესაძლოა განპირობებული იყოს ერთის მხრივ დანაშაულის სტატისტიკის „გაკეთილშობილების“ მოტივით, ხოლო მეორეს მხრივ დანაშაულის მსხვერპლთა შეზღუდვის მიზნის სურვილით.

- “სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონი ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფოს პოლიტიური ვალდებულების შესრულებას პოლიციელთა მხრიდან წამების, არასათანადო და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად ჩატარების ნაწილში.
- ჩვენს ხელთ არსებული საქმეების შესწავლითა და ინტერვიუებით დგინდება, რომ მიუხედავად შესაბამისი ინფორმაციის ფლობისა, პოლიციელთა მხრიდან წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლთა დიდი უმრავლესობა თავს იკავებს მიმართოს სასამართლოს სამართალდამცავთა მხრიდან ჭანმრთელობის დაზიანების, უკანონო ადმინისტრაციული დაკავების ან და სხვა სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

თავი 4. პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებული ტენდენციები

სამართალდამცავთა მიერ წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის მდგომარეობის სრულყოფილად შეფასებისთვის მნიშვნელოვან წყაროს საქართველოს სახალხო დამცველის, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები წარმოადგენს.

პირველი პრობლემა, რომელსაც პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესწავლისას ვაწყდებით, არის ამგვარი ქმედებების განხორციელების ტენდენცია, რომელიც

2014 წლიდან 2017 წლის ჩათვლით წლიდან წლამდე იზრდება. აღსანიშნავია, რომ მზარდი ტენდენციისა და ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუარესების მიუხედავად, სახელმწიფო არ დგამს დროულ და ქმედით ნაბიჯებს მსგავსი შემთხვევების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით.

2014 წელს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომზადებული ანგარიშის თანახმად, 2013 წელს სახალხო დამცველს სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ 40-მა პირმა მიმართა, საიდანაც

აპარატმა 12 შემთხვევა შეისწავლა.³ ზოგიერთ შემთხვევაში მსხვერპლები კონკრეტული პირების სახელებსა და გვარებსაც ასახელებდნენ. 2015 წლის ანგარიშში, სახალხო დამცველი მიიჩნევდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა გაუარესდა.⁴ ამას ისიც ადასტურებს, რომ 2015 წელს წინა წელთან შედარებით პოლიციის თანამშრომლების მიერ არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების შესახებ საქართველოს მთავარ პროკურატურაში გაგზავნილი სახალხო დამცველის წინადადებების რაოდენობა გაიზარდა,⁵ ამასთან, ამავე ანგარიშში, სახალხო დამცველი შენიშნავს, რომ წინა წლის პოლიციელთა მიერ დაკავებისას ძალის გადამეტების ტენდენცია არასათანადო მოპყრობის ტენდენციაში გადაიზარდა. საანგარიშო პერიოდში ზოგიერთი განმცხადებლის სხეულზე არსებული დაზიანებების ლოკალიზაციამ და ხასიათმა სახალხო დამცველი განსაკუთრებით შეაშფოთა. აღსანიშნავია, რომ მიღებული დაზიანებების გამო რამდენიმე მსხვერპლის სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარიზება გახდა აუცილებელი. შესაბამისად, არასათანადო მოპყრობის ფაქტების რაოდენობის ზრდასთან ერთად იმატებს დაზიანებების სიმწვავის ხარისხიც, რაც შესაძლოა დაუსჯელობით იყოს ნახალისებული.

2016 წელს სახალხო დამცველის პროკურატურისადმი მიმართული 10 წინადადებიდან 7 პოლიციელის მიერ განხორციელებულ სავარაუდო არა-

სათანადო მოპყრობას ეხებოდა.⁶ 2017 წელს სახალხო დამცველი კვლავ იმეორებს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაზიანებით შესახლებულ პირთა და შესაბამისად პოლიციის მიმართ პრეტენზიის დაფიქსირების შემთხვევათა ხვედრითი წილის ზრდის ფონზე,⁷ არასათანადო მოპყრობასთან ეფექტიანი ბრძოლა ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება 2017 წელსაც. პრობლემად რჩება როგორც პრაქტიკა, ისე – კანონმდებლობა და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიება პოლიციელების მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებზე არ ტარდება.⁸

მიხედვით პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტების გეოგრაფიული გავრცელების კუთხით განსაკუთრებით პრობლემური თბილისი, მარნეული, გორი, ზუგდიდი, ბათუმი, მცხეთა, თელავი და ქუთაისი იყო. 2015 წელს ყველაზე მეტი შემთხვევა იმერეთის რეგიონში დაფიქსირდა.⁹

კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა, რომელიც არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით არსებობს არის დაკავებული პირის ყოფნა სამართალდამცავების ექსკლუზიური კონტროლის ქვეშ მათსავე ავტომობილებსა და პოლიციის განყოფილებებში. აღსანიშნავია, რომ მსხვერპლების დიდი ნაწილი პოლიციელთა მიერ დაკავების შემდგომ არ გადაყავთ პირდაპირ დროებითი მოთავსების იზოლატორში. ხშირია შემთხვევები, როდესაც მათ საათების

3 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, "სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიების პრაქტიკა, საკანონმდებლო რეგულაციები და ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტები"; თბ. 2014, გვ. 6

4 საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, მდგომარეობა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ორგანოებში, 2015 წ., გვ. 14

5 იქვე, გვ. 15

6 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016 წ., გვ. 366

7 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2017 წელი, გვ. 56.

8 იქვე, გვ. 83

9 საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, მდგომარეობა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ორგანოებში, 2015 წ., გვ. 387.

განმავლობაში უწევთ პოლიციის მანქანაში ან პოლიციის განყოფილებაში ყოფნა, რა დროსაც არ ხდება პოლიციელთა მიერ განხორციელებული ქმედებების კონტროლი და არ ტარდება მსხვერპლის სამედიცინო შემოწმება.

სახალხო დამცველის ანგარიშების თანახმად, როგორც წესი, ძალადობა ხორციელდება უშუალოდ პოლიციის განყოფილებებსა და პოლიციის ავტომობილებში.¹⁰ ძალადობის ფორმებზე საუბრისას, სახალხო დამცველის ანგარიშებიდან ირკვევა, რომ თითქმის ყველა გამოკვლეულ შემთხვევაში ადგილი აქვს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ძალადობას და სიტყვიერ შეურაცხყოფას. სახალხო დამცველმა ასევე დააფიქსირა ისეთი მძიმე შემთხვევები, როდესაც მსხვერპლმა ცემის შედეგად გონება დაკარგა. დაფიქსირდა მსხვერპლის და მისი ოჯახის წევრების მიმართ დანაშაულის ნიშნების შემცველი მუქარის შემთხვევა¹¹

განსაკუთრებით აღსანიშნავია დაკავების შემდეგ მოქალაქეების არა დაუყოვნებლივ დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლება, არამედ თავდაპირველად მათი პოლიციის განყოფილებებში გადაყვანისა და მათი დაყოვნების პრაქტიკა. სახალხო დამცველის ანგარიშების მიხედვით იზოლატორში შესახლებამდე დაკავებული პირების პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის ხანგრძლივობა 5 საათიდან 23 საათამდე მერყეობს.¹² ხშირია შემთხვევები, როდესაც დაკავებულებს პოლიციის შენობაში მთელი ღამით აყოვნებენ. აღნიშნული პრობლემა GDI-ს წარმოებაში არსებულ საქმეებშიც გამოვლინდა, რაზეც უფრო დეტალური მსჯელობა წარმოდგენილი იქნება პრაქტიკის

ანალიზის შესაბამის თავში. მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით შსს-ს პრაქტიკა გადასახედი და შესაცვლელია.

მნიშვნელოვანი პრობლემაა არასათანადო მოპყრობისას დაზიანებების საგამოძიებო მოქმედებების ოქმებში სწორად აღწერის მხრივ. 2017 წლის ანგარიშში, სახალხო დამცველი უთითებს, რომ შესწავლილი შემთხვევების დაახლოებით ერთ მესამედში (2017 წელი - 30,1 %, 2016 წელი - 31,3 %), დაკავების ოქმში არ არის მითითებული დაზიანება, რომელიც აღწერილია გარეგნული დათვალიერების ოქმში. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მსგავსი შემთხვევებში ჩნდება მყარი პრეზუმფცია, რომ შესაძლოა დაკავებული პირი პოლიციის კონტროლის ქვეშ დაექვემდებარა ფიზიკურ ძალადობას.¹³

ცალკე მსჯელობის საგანი უნდა გახდეს პროკურატურის მიერ არასათანადო მოპყრობის შემთხვევებზე გამოძიების არ დაწყების ან დაგვიანებით დაწყების, გამოძიების გაჭიანურების, ქმედების არასწორი კვალიფიკაციისა და მსხვერპლის გამოძიებაში არასაკმარისად ჩართვის პრობლემები.

სახალხო დამცველის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციით დასტურდება, რომ თბილისსა და რეგიონებში არასათანადო მოპყრობის შემთხვევებზე შეტყობინებების მნიშვნელოვან რაოდენობაზე გამოძიება არ იწყება. რეგიონების მონაცემების მიხედვით, 2016 წელს პროკურატურამ არ დაიწყო გამოძიება პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის 146 შეტყობინებაზე.¹⁴ პროკურატურაში განმარტავენ, რომ შეტ-

10 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, "სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიების პრაქტიკა, საკანონმდებლო რეგულაციები და ეფექტიანი გამოძიების საქართაშორისო სტანდარტები"; თბ. 2014, გვ. 7

11 იქვე, გვ. 14

12 საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, მდგომარეობა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ორგანოებში, 2015 წ. გვ. 26.

13 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2017 წელი, გვ. 57

14 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016 წ., გვ. 373-374

ყობინებებზე, რომლებშიც არ დადასტურდა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტები, გამოძიება არ იწყება. სახალხო დამცველის აზრით, ასეთი შეფასება ეწინააღმდეგება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა საგამოძიებო ორგანოებს არ ანიჭებს დისკრეტულ უფლებამოსილებას, თავად გადაწყვიტოს, დაიწყოს თუ არა გამოძიება შესაძლო დანაშაულის ფაქტზე.¹⁵

ხშირია შემთხვევები, როდესაც პროკურატურა გამოძიების დაწყებას აგვიანებს. ეს პრობლემა თვალსაჩინოდ გამოვლინდა სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ საქმეებში. მაგალითად, ბრალდებულ გ.ო.-ს მიმართ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობისა და ბრალდებულ მ.პ.-ს მიმართ სამართალდამცავი პირების მხრიდან განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის საქმეთა შესწავლის შემდეგ ომბუდსმენი ასკვნის, რომ არც ერთ აღნიშნულ საქმეში პროკურატურამ არ უზრუნველყო ზედმინეფნითი და დროული გამოძიება და არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლის გონივრული ჩართულობა. არაეფექტურობა გამოიხატებოდა იმაში, რომ არ მოხდა დროულად ვიდეო ჩანაწერების ამოღება, არ დაიკითხა/გამოიკითხა ფაქტის შემსწრე პირები, არ ჩატარდა შესაძლო შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ამოცნობა და სხვა საგამოძიებო მოქმედებები.¹⁶ ანგარიშში ვხვდებით შემთხვევას, როდესაც

დაკავებულმა ინტენსიური ცემისგან გონება დაკარგა, თუმცა, ოჯახის წევრების მოთხოვნის მიუხედავად, მას სამედიცინო შემოწმება არ ჩატარებია.¹⁷ მსგავსი შემთხვევები დაფიქსირდა GDI-ს წარმოებაში არსებულ საქმეებშიც. მაგალითად; თ.ტ-ს საქმეში დაზიანებების შესამოწმებლად სამედიცინო ექსპერტიზა დაინიშნა არასათანადო მოპყრობის ფაქტიდან 3 თვის გასვლის შემდეგ, მაშინ როდესაც მსხვერპლს დაზიანებები სხეულზე თითქმის აღარ აღენიშნებოდა, რაზეც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება საუბარი. არადროულ და არაეფექტურ გამოძიებას საკუთარ 2016 წლის ანგარიშში პრობლემად ასახელებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც. საიას მითითებით გამოძიება ან საერთოდ არ იწყება, ან მიმდინარეობს არაეფექტურად, რაც გამოიხატება გამოძიების გაჭიანურებასა ან სხვა ხარვეზების არსებობაში. საიას ანგარიშში მითითებულია საქმეები, რომლებიც დაიწყო 2013 და 2014 წლებში და 2016 წლის ჩათვლით უშედეგოდ გრძელდებოდა, ხოლო რამოდენიმე მათგანი შეწყდა.¹⁸

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც 2014 წლიდან 2017 წლის ჩათვლით ძალიან მწვავედ დგას არის გამოძიების წარმართვა არასწორი კვალიფიკაციით.

2015 წლის ანგარიშში სახალხო დამცველი საუბრობდა, რომ არასათანადო მოპყრობის არცერთ შემთხვევაზე გამოძიება სსკ-ის 144¹-ე და 144³-ე მუხლებით არ დაწყებულა, არამედ გამოძიება ძირითადად 333-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) იწყება.¹⁹ უკვე, 2016 წელს სახალხო დამცველი კონკრეტულ რიცხვებზე

15 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016 წ., გვ. 375

16 იქვე, გვ. 372

17 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, "სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიების პრაქტიკა, საკანონმდებლო რეგულაციები და ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტები"; თბ. 2014, გვ. 14

18 დაუშვილი მ., „სამართალდამცავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულები და მათზე სახელმწიფოს რეაგირება“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმოებაში არსებული საქმეების ანალიზი. თბილისი, 2016. გვ. 9

19 საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, მდგომარეობა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ორგანოებში, 2015 წ., გვ. 387

საუბრობს, ჯამში 10 ფაქტიდან, მხოლოდ 2 შემთხვევაში დაიწყო გამოძიება სპეციალური 144³-ე მუხლით.²⁰ აღსანიშნავია, რომ GDI-ს წარმობაში არსებული 10 საქმიდან არცერთ შემთხვევაში გამოძიება წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მუხლით არ დაწყებულა, არამედ თითოეულ შემთხვევაში პროკურატურა მიიჩნევდა, რომ სახეზე იყო შესაძლო უფლებამოსილების გადამეტება. გარდა ამისა, სახალხო დამცველმა პროკურატურიდან გამოითხოვა ინფორმაცია არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე დაწყებული გამოძიების შესახებ. ანგარიშში ასახულია პროკურატურის მონაცემები, რომლის თანახმადაც, 2016 წელს პოლიციელთა მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 173 საქმეზე, საიდანაც მხოლოდ 5 საქმეზე დაიწყო დევნა, ხოლო ამათგან 23-ის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი. აღსანიშნავია, რომ დევნა არცერთ შემთხვევაში არ დაწყებულა არასათანადო მოპყრობის ან წამების კვალიფიკაციით, არამედ – სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით.²¹ გამოძიების არასწორი კვალიფიკაციით წარმართვაზე საუბრობს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც. საიას ანგარიშში მითითებულია, რომ არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გარდა, სახელმწიფოს მხრიდან ადგილი აქვს პოლიციელთა მიერ ჩადენილი ნებისმიერი დანაშაულის შემთხვევაში უფრო მსუბუქი კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტებს.²²

არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე არაეფექტური გამოძიების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი თავად მსხვერპლთა უფლებრივ მდგომარეობას

შეეხება. აღსანიშნავია, რომ მწვავე პრობლემად რჩება პროკურატურის მიერ მსხვერპლთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე დაუსაბუთებელი უარის გაცხადების ფაქტები, მათ შორის ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც არსებობს დაზიანებების დამადასტურებელი სამედიცინო დასკვნები.

ეფექტიანი გამოძიების კონტექსტში, სახალხო დამცველს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის მხრიდან არასათანადო მოპყრობის ან სამართალდამცავების მიერ ძალის გადამეტების სავარაუდო ფაქტების თაობაზე მხოლოდ გამოძიების დაწყება საკმარის არ არის, გამოძიების არაგონივრულად გაჭიანურება, გამოძიების შედეგების შესახებ მსხვერპლის არასაკმარისი ინფორმირებულობა და ზემოთ განხილული სხვა ხარვეზების არსებობა ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ ყველა მსგავსი დანაშაულის დროული, ეფექტიანი და მიუკერძოებელი გამოძიების პოზიტიური ვალდებულების შესრულებას.²³ გამოძიების არაეფექტიანობაზე ისიც მიუთითებს, რომ 2016 წელს სახალხო დამცველის მიერ მომზადებული წინადადებებიდან, არცერთ შემთხვევაში გამოვლენილა ბრალდებული, არ გამოვლინდა დაზარალებული და ზოგიერთ შემთხვევაში გამოძიება დაგვიანებით დაიწყო. GDI-ს წარმობაში არსებული 10 საქმიდან მსხვერპლმა დაზარალებულის სტატუსი მხოლოდ 3 შემთხვევაში მიიღო. საიას ანგარიშში წარმოდგენილი 16 საქმიდან, სადაც იდგა პირის დაზარალებულად ცნობის საკითხი, 15 შემთხვევაში, სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების მსხვერპლებს გამოძიების პროცესში

20 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016 წ., გვ. 366

21 იქვე, გვ. 371.

22 დაუშვილი მ., „სამართალდამცავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულები და მათზე სახელმწიფოს რეაგირება“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმობაში არსებული საქმეების ანალიზი. თბილისი, 2016. გვ. 10

23 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიების პრაქტიკა, საკანონმდებლო რეგულაციები და ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტები“; თბ. 2014, გვ. 15

დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარი ეთქვათ.²⁴

სახალხო დამცველი ყურადღებას გამოიძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრობლემაზეც ამახვილებს. 2014 წლის ანგარიშში სახალხო დამცველის მოსაზრებით, ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრობლემა დგას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილი შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების გამოძიების ნაწილში. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელის მიერ ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება პროკურატურის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება, ამ პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი არაერთი საქმე ადასტურებს, რომ ხშირ შემთხვევაში, სამართალდამცავი პირების მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია იძიებდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა მიმდინარე გამოძიებების საქართველოს პროკურატურისთვის გადაცემა.²⁵ GDI-ს დაკვირვებამ აჩვენა, რომ შსს-ს გენერალური ინსპექციის დებულება და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დღესაც იძლევა შესაძლებლობას პოლიციელის მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაული გენერალურმა ინსპექციამ გამოიძიოს. შესაბამისად, მინიმუმ საკანონმდებლო დონეზე აღნიშნული პრობლემა დღესაც დღის წესრიგში დგას.

არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით, არსებული მდგომარეობა რომ მნიშვნელოვნად პრობლემურია,

სახალხო დამცველის მიერ ყოველწლიურად გაჟღერებული რეკომენდაციების სიმრავლე და მათი იდენტურობაც მიანიშნებს. სახალხო დამცველმა სხვადასხვა დროს, არაერთხელ მიმართა შესაბამის ორგანოებს რეკომენდაციით და წარუდგინა მისი ხედვა არასათანადო მოპყრობის პრობლემის გადაჭრისთვის, თუმცა ფაქტია, რომ რეკომენდაციები არ სრულდება და ისინი ყოველწლიურად მეორდება ანგარიშებში. სახალხო დამცველი, თითქმის ყველა ანგარიშში აპელირებს, რომ:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სასჯელ-აღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომელთა მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტების გამოძიების მიზნით უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი ორგანო;
- საქართველოს პროკურატურამ, გამოძიება დაიწყოს დაუყოვნებლივ, ინფორმაციის მიღებისთანავე და საგამოძიებო მოქმედებები ჩაატაროს შემჭიდროვებულ ვადებში. ნიშნების არსებობის შემთხვევაში გამოძიება დაიწყოს სისხლის სამართლის კოდექსის 1441-ე და 1443-ე მუხლებით და იგი წარიმართოს მაქსიმალურად ეფექტიანად;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინტენსიურად გადაამზადოს თანამშრომლები პირის დაკავების პროცედურების, პროპორციული ძალის გამოყენების პრინციპისა და ძალის გადამეტების თავიდან აცილების თვალსაზრისით. შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა დაწესებულება აღიჭურვოს შესაბამისი ვიდეო კამერებით, რომლებიც უწყვეტ რეჟიმში ჩაინერენ იმ ადგილებს,

24 დაუშვილი მ., „სამართალდამცავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულები და მათზე სახელმწიფოს რეაგირება“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმოებაში არსებული საქმეების ანალიზი. თბილისი, 2016. გვ. 12

25 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიების პრაქტიკა, საკანონმდებლო რეგულაციები და ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტები“; თბ. 2014გვ. 39-40

სადაც მოქალაქეებს პირდაპირი შეხება აქვთ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებთან. გან-

ხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიწოდოს სახალხო დამცველის აპარატს.

თავი 5. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურამდე

ანგარიშის პირველ თავში გაანალიზებული ინფორმაციის თანახმად, ცხადია, რომ სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის პრობლემა რეალურად დგას. ამასთან, ისიც ფაქტია, რომ, სახელმწიფოს, მათ შორის, შესაბამისი ორგანოების არსებული ინსტიტუციური მოწყობის პირობებში არ შესწევს უნარი ეფექტიანად ებრძოლოს ამ პრობლემას. 2012 წლის არჩევნების შემდეგ ხელისუფლებას ჰქონდა რეალური შესაძლებლობა და ხალხისგან მინიჭებული მანდატი, რომ ამ მანკიერი პრობლემის აღმოსაფხვრელად ეფექტიანი ნაბიჯები გადაედგა, თუმცა, უშედეგოდ. შესაბამისად, ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა, რაც სახელმწიფოს წინაშე უკვე ბოლო რამდენიმე წელია დგას, არის, შეიქმნას ინსტიტუციურად და იერარქიულად დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებასა და მის საპროცესო ზედამხედველობაზე.

ჭერ კიდევ 2011 წელს ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის დირექტორატმა შეიმუშავა სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევებისთვის დაუსჯელობის აღმოფხვრის შესახებ. ამ პრინციპების თანახმად სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ევროპული კონვენციის მათ შორის, მე-3 (არასათანადო მოპყრობის

აკრძალვა) მუხლის დაცვას. ამ მიზნით ეროვნული კანონმდებლობები შესაბამის სისხლისსამართლებრივ მექანიზმებს უნდა ითვალისწინებდეს.²⁶

უკვე 2013 წელს, საქართველოში პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის პრობლემაზე და დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმზე საუბრობს ევროსაბჭოს კომისარი ადამიანის უფლებების საკითხებში, თომას ჰამერბერგი. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლიდან მოყოლებული პოლიციის მიერ დაკავებულ პირთა მიმართ მოპყრობასთან დაკავშირებული ვითარება დროთა განმავლობაში გაუმჯობესდა, პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის გამო გამოუძიებელი საჩივრები კვლავ არსებობს.²⁷ კომისარმა სახელმწიფოს რეკომენდაციით მიმართა, რომ „მიმდინარე სტრუქტურული რეფორმების განხორციელების ეტაპზე, საქართველომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, დაყოვნების გარეშე და წარსულში არსებული სისტემატური დარღვევების ისტორიის ჭრილში, თუ რა არის საუკეთესო გზა ადამიანის უფლებების დარღვევის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიების წარმოებისთვის, სადაც კი არსებობს ეჭვი, რომ ამ საქმეებში სამართალდამცავები მონაწილეობდნენ. ამის განხორციელებით, გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა სცადონ, რომ მინიმუმამდე დაიყვანონ ის

26 ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევებისთვის დაუსჯელობის აღმოფხვრის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები, ევრო საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის დირექტორატი, სტრასბურგი, 2011.

27 ტომას ჰამერბერგი, საქართველო გარდამავალ პერიოდში, „ანგარიში ადამიანის უფლებათა სფეროში: განვლილი პერიოდი, გადადგმული ნაბიჯები და არსებული გამოწვევები“, 2013 წლის სექტემბერი, გვ.

41. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/virtual_library/cooperation_sectors/georgia_in_transition-hammarberg.pdf [ბოლოს ნანახია 07.07.2018]

საზიანო შედეგები, რომლებიც შედეგად მოაქვს „კოლეგების მიერ კოლეგების საქმის გამოძიებას“²⁸ და გაითვალისწინონ ეფექტიანი გამოძიების ყველა ის პრინციპი, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეიმუშავა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების საფუძველზე.²⁹

ევროსაბჭოს ექსპერტი, პროფესორი, ჯიმ მერდოკი, 2013 წელს მომზადებულ ანგარიშში თვლიდა, რომ საქართველოში სერიოზულ განხილვას საჭიროებს დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნა არასათანადო მოპყრობის თაობაზე ყველა საჩივრისა და ა.შ. გამოძიებისათვის. მისი აზრით, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ალტერნატივა შესაძლოა ყოფილიყო, სულ მცირე, დამოუკიდებელი ორგანოს შექმნა, რომელსაც პროკურორის მიერ განხილულ ინდივიდუალურ საქმეებზე ზედამხედველობის უფლებამოსილება ექნებოდა.³⁰

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის არ არსებობის პრობლემაზე საუბრობს Human Rights Watch-ი 2016,³¹ 2017³² და 2018³³ წლების ანგარიშებში. ორგანიზაცია მკაფიოდ უსვამს ხაზს საქართველოში სამართალდამცავების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოსაძიებლად დამოუკიდებელი, ეფექტიანი მექანიზმის არ არსებობას. ამ პრობლემაზე საუბრობს

გაეროს სპეციალური მომხსენებელი 2015 წლის ანგარიშში. პოლიციელთა მხრიდან დაკავებულების მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ბოლოდროინდელი შემთხვევების გაცნობის შემდეგ, მიუხედავად კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი გარანტიების არსებობისა, სპეციალურმა მომხსენებელმა გამოთქვა შემოთება შეუსაბამო გამოძიების თაობაზე.³⁴ გამოძიების არაეფექტურობის კონტექსტში სპეციალური მომხსენებელი ეჭვქვეშ აყენებს პროკურატურის სისტემაში ახალი დეპარტამენტის შექმნის იდეას. ის აღნიშნავს, რომ მაშინ, როდესაც პროკურატურა არ არის დამოუკიდებელი გამოძიების მექანიზმი წამებისა და არაადამიანური ან სხვა დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის შემთხვევების მიმართ, გაურკვეველია, როგორ იმოქმედებდა/იმუშავებდა პროკურატურაში შექმნილი ახალი დეპარტამენტი და რამდენად გამართლებული მექანიზმი იქნებოდა იგი.³⁵ ევროპის საბჭოს, საქართველოში არასათანადო მოპყრობის პრობლემის გადაჭრის საუკეთესოდ გზად დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა მიაჩნდა, რომელიც გაუძღვება საჩივრებს სამართალდამცავებისა და ციხის თანამშრომლების მიმართ ძალადობის ფაქტებზე სახალხო დამცველისა და სხვა ორგანიზაციების წინადადებების საფუძველზე.³⁶

28 იქვე, გვ. 23

29 იქვე, გვ. 43

30 ჯიმ მერდოკი; „არასათანადო მოპყრობის გამოძიება საქართველოში: მიმოხილვითი ანგარიში“; ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამა არასათანადო მოპყრობასა და დაუსჯელობასთან ბრძოლის ხელშეწყობა, თბილისი, 2013 წ. გვ. 48

31 Human Rights Watch, World Report 2016: საქართველო; ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.hrw.org/ka/world-report/2016/country-chapters/285007>, [ბოლოს ნანახია 20.07.2018]

32 Human Rights Watch, World Report 2017; ხელმისაწვდომია: <https://www.hrw.org/ka/world-report/2017/country-chapters/298648>, [ბოლოს ნანახია 20.07.2018]

33 Human Rights Watch, World Report 2018; ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://www.hrw.org/ka/world-report/2018/country-chapters/313737>, [ბოლოს ნანახია 20.07.2018]

34 Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment on his mission to Georgia; 2015, December 1, A/HR/31/57/Add.3; P. 8.

35 იქვე, გვ. 10

36 Counsel of Europe, Observations on the human right situation in Georgia: an update on justice reforms, tolerance and non-discrimination; Strasbourg, 12 January 2016, P. 3-4. Para 12.

გარდამავალი მართლმსაჯულების საერთაშორისო ცენტრის 2017 წლის ანგარიშის ავტორების აზრით ხელისუფლებისთვის დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმთან დაკავშირებით ყველაზე სრულყოფილი რეკომენდაციების პაკეტის ავტორები გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის საქართველოს ოფისი, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ და ევროპის საბჭო/ევროპის კავშირი იყო.³⁷ წინადადებები სამი სახის მოდელს მოიაზრებდა: 1. სრულიად დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმი, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების გარეთ იქნებოდა; 2. აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში არსებული მექანიზმი, დამოუკიდებლობის საკანონმდებლო გარანტიებით; 3. ომბუდსმენის მსგავსი უფლებამოსილებებით აღჭურვილი აღმასრულებელი ხელისუფლების უწყება. თუმცა ამ სამიდან, ავტორებს მიაჩნიათ, რომ მხოლოდ პირველს შეუძლია უპასუხოს საერთაშორისო სტანდარტებს.³⁸

თუმცა, მიუხედავად მრავალგზის დაპირებებისა, ხელისუფლებამ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა ვერ უზრუნველყო და ადამიანის უფლებების დარღვევებისათვის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა დაუსჯელობა შენარჩუნდა. 2017 წლის ივნისში, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ნაცვლად, ხელისუფლება პროკურატურაში ახალი დეპარტამენტის შექმნის წინადადებით გამოვიდა, რომლის მანდატიც სამართალდამცავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიება დასახელდა.³⁹ ხელისუფლების ამ ინიციატივას ადგილობრივი არასამთავრობო ორგა-

ნიზაციებისა და სხვა დაინტერესებული პირების მწვავე კრიტიკა მოჰყვა.

ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს 2017 წლის კვლევის ავტორი ეთანხმება საერთაშორისო ექსპერტებსა და იზიარებს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის მოსაზრებას დამოუკიდებელი ორგანოს შექმნის თაობაზე და მიაჩნია, რომ ეს უნდა იყოს ორგანო, რომელსაც ექნება გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის უფლება და კატეგორიულად ეწინააღმდეგება იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ ვერსიას, პროკურატურაში ცალკე დეპარტამენტის შექმნის შესახებ, ვინაიდან პროკურატურა ვერ ჩაითვლება მიუკერძოებელ ორგანოდ ინსტიტუციურად, რაც მას მისცემდა საშუალებას ეფექტიანად განეხორციელებინა სისხლისსამართლებრივი გამოძიება და დევნა.⁴⁰ ავტორი დამატებით გასათარებელ ღონისძიებებზეც საუბრობს. ის მნიშვნელოვნად მიიჩნევს გაძლიერდეს მოსამართლის როლი წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მის წინაშე წარდგენისას თუკი მოსამართლეს წარმოეშობა გონივრული ეჭვი, რომ პირი დაექვემდებარა წამებას ან არასათანადო მოპყრობას, მიეცეს მას შესაძლებლობა უბრძანოს შესაბამის ორგანოებს ეფექტიანი გამოძიების წარმოება, განახორციელოს პირის დაცვის ღონისძიებები, სხვა საპატიმრო დაწესებულებაში გადაყვანა, ხსენებულ საკითხთან დაკავშირებული მასალების მისთვის წარდგენა. შეიქმნას ალტერნატიული მონიტორინგის მექანიზმი და გაიზარდოს დაზარალებულის უფლებები.⁴¹

2018 წლის 1 მარტს, საქართველოს

37 გარდამავალი მართლმსაჯულების პერსპექტივები საქართველოში, ICTJ, თებერვალი, 2017 წ., გვ. 29.

38 იქვე, გვ. 30.

39 საერთაშორისო ამნისტიის ანგარიში 2017/2018 – ადამიანის უფლებები მსოფლიოში; გვ. 129.

40 „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“; წამებასა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის კუთხით ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში არსებული სიტუაციის მოკლე ანალიზი; ავტ. ბ. ბოხაშვილი, 2017 წ., გვ. 23

41 იქვე, გვ. 25

მთავრობამ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონპროექტის სახით საქართველოს პარლამენტს საგამოძიებო მექანიზმის სრულიად ახალი მოდელი წარუდგინა. კანონპროექტი პარლამენტმა 2018 წლის 21 ივლისს დაამტკიცა და საქართველოს კანონად აქცია. თუმცა, მისი ძირითადი ნაწილი 2019 წლის 01 იანვრიდან ამოქმედდება. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად⁴² მის მიზანს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილი გარკვეული კატეგორიის დანაშაულის მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიებისათვის დამოუკიდებელი ინსტიტუციის შექმნა წარმოადგენს.

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ამ მოდელმა აზრთა სხვადასხვაობა და სკეპტიციზმი გამოიწვია. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, თუ მთავრობის ამ ინიციატივის მიზანს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა წარმოადგენდა, საპროცესო ხელმძღვანელობის უფლებამოსილების პროკურატურისთვის დატოვება ამ მიზანს მნიშვნელოვნად ასუსტებს და აუცილებელია, რომ ინსპექტორის სამსახურს მიეცეს გამოძიების დამოუკიდებლად, პროკურატურის სავალდებულო მითითების გარეშე, ჩატარების შესაძლებლობა, პროკურატურისაგან ნებართვის მოპოვების გარეშე.⁴³

სახალხო დამცველის მოსაზრებას იზიარებს კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“, რომლის აზრით „იმისთვის, რომ ახლად შექმნილმა საგამოძიებო უწყებამ მასზე დაკისრებული ამოცანები ეფექტიანად განახორციელოს, სულ მცირე აუცილებელია, რომ ის აღჭურვილი იყოს

ყველა მნიშვნელოვანი საგამოძიებო ღონისძიების დამოუკიდებლად განხორციელების უფლებამოსილებით. სამსახური უზრუნველყოფილი უნდა იყოს ოპერაციული დამოუკიდებლობის იმ მინიმალური ხარისხით, რაც საჭიროა გამოძიების სრულად და ყოველმხრივ წარმართვისთვის, ხოლო საუკეთესო შემთხვევაში, სამსახურს უნდა ჰქონდეს სისხლისსამართლებრივი დევნის და სასამართლოში წარმომადგენლობის ფუნქციები.“

მიგვაჩნია, რომ „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონი ვერ პასუხობს ხელისუფლებისთვის ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ მნიშვნელოვან რეკომენდაციებს და მისი არსებული რედაქცია კვლავ ტოვებს არასათანადო მოპყრობის ფაქტების არაეფექტური გამოძიების საფრთხეებს, შემდეგი მიზეზების გამო:

კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უფლებამოსილი იქნება, გამოძიება აწარმოოს სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ ისეთ დანაშაულებზე, როგორცაა: წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა; უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება/გადამეტება ძალადობის, ან იარაღის გამოყენებით, ან დაზარალებულის ღირსების შეურაცხყოფით; ჩვენების მიცემის იძულება და სამართალდამცავის მიერ შესაძლო ჩადენილ სხვა ნებისმიერ დანაშაულს, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, როდესაც მსხვერპლი იმყოფებო და პოლიციის ეფექტური კონტროლის ქვეშ. აღნიშნული რეგულაციით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის კომპეტენციის მიღმა რჩება ისეთი კატეგორიის დანაშაულები, რომლებიც მართალია ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენ-

42 იხ. საქართველოს კანონის პროექტი “სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ” და მისი განმარტებითი ბარათი. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <https://info.parliament.ge/News/law-drafting/15233> [ბოლოს ნანახია 01.07.2018]

43 საქართველოს სახალხო დამცველის შეფასება, 2018 წელი, 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcvelis-shefaseba-saxelmwifo-inspektoris-samsaxuris-shesaxeb-kanonis-proeqttan-dakavshirebit.page> [ბოლოს ნანახია 01.07.2018]

ლების მიერ, მაგრამ არ არის დაკავშირებული, ძალადობასთან ან დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობასთან, თუმცა თავისი შინაარსით წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილების არამართლზომიერ გამოყენებას, მაგალითად, ნარკოტიკული საშუალების, ცეცხლსასროლი იარაღის ჩადების ფაქტები, რომელზეც ბოლო პერიოდში ხშირად გაისმის ხოლმე ბრალდებები სამართალდამცავი ორგანოების მიმართ.

ასევე, კანონის თანახმად, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი იქმნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან, რომლის ძირითადი ფუნქცია პერსონალური მონაცემების დაცვაა. შესაბამისად, საკამათოა და ვერც მთავრობამ წარმოადგინა დამატებითი არგუმენტები, რამდენად შეუძლია ერთ უწყებას ერთდროულად განახორციელოს ეს ორი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია - პერსონალურ მონაცემთა დაცვა და გამოძიება, მით უმეტეს, რომ გამოძიების ფარგლებში მოპოვებული პერსონალური მონაცემის დაცვის მოვალეობა კვლავ იმავე უწყების კომპეტენციაში რჩება. აღნიშნულის გათვალისწინებით რჩება ეჭვი, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ვერ იქნება მაკონტროლებელი და დამოუკიდებელი თავისი საქმიანობის განხორციელებაში, სულ მცირე, თავის ქვემდებარეობას მიკუთვნებულ და შესაძლოა პროკურატურის მხრიდან პერსონალური მონაცემის დაცვის ფუნქციების განხორციელებაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ საგამოძიებო უწყება შეიქმნას ცალკე უწყების სახით, მოქნილი და მცირე ბიუჯეტით აღჭურვილი, რაც არ იქნება დაკავშირებული დიდ საბიუჯეტო სახსრებთან.

კანონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზად მიგვაჩნია მთავარი პროკურორისთვის გამოძიების ქვემდებარეობის მიუხედავად გამოძიების ერთი ორგანოდან ამოღებისა და სხვა ორგანოსთვის გადაცემის კომპეტენციის შენარჩუნება. ეს უფლებამოსილება კვლავ ტოვებს საფრთხეს,

რომ საქმე გამოსაძიებლად იმ ორგანოს დაექვემდებაროს, რომლის თანამშრომლის მიერ სავარაუდო დანაშაულის ჩადენასაც ეხება. მთავარი პროკურორის ეს კომპეტენცია ამ ნაწილში კონსტიტუციის მე-17 მუხლთან მიმართებით არაკონსტიტუციურად მიგვაჩნია, რაზეც პროექტის ფარგლებში მომზადდა სარჩელი და მივმართეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. ამ საკითხზე ქვემოთ დეტალურად ვისაუბრებთ.

კანონის მნიშვნელოვან კრიტიკად რჩება მისი იურისდიქციის გავრცელება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის უფროსზე. შემოთავაზებული კანონპროექტის მიხედვით, ინსპექტორი ვერ შეძლებს გამოიძიოს დანაშაულები, თუ ისინი ჩადენილია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ. აღნიშნული თანამდებობის პირები ხელმძღვანელობენ სამართალდამცავ ორგანოებს, მათ რეალურად გააჩნიათ შესაძლებლობა ათასობით დაქვემდებარებულ პირს მისცენ მითითება, ბრძანება და დაავალონ კონკრეტული ქმედების განხორციელება. შესაბამისად, ალოგიკურია მექანიზმის მანდატის შეზღუდვა იმ პირთა მიმართ, ვის ხელშიც ყველაზე მეტად არის კონცენტრირებული ძალაუფლება. ეს უკანასკნელი, პირთა გარკვეული წრისთვის გაამყარებს დაუსჯელობის სინდრომს.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული სამსახურის ეფექტურად ფუნქციონირების მიზნით, მნიშვნელოვანია სამსახურს გააჩნდეს გამოძიების დამოუკიდებლად, პროკურორის ჩარევის გარეშე ჩატარების უფლებამოსილება, პროკურორისაგან მხოლოდ წერილობითი მითითების მიღების გათვალისწინებით და ისიც სათანადო დასაბუთებით, რათა მთლიანად იქნეს გამორიცხული არამართლზომიერი ჩარევა სამსახურის საქმიანობაში და იქნეს უზრუნველყოფილი მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა.

თავი 6. საერთაშორისო სტანდარტები და სტრატეგიული სამართალწარმოება

გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის ერთ-ერთ მიზანს პოლიციელთა მხრიდან წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის შემთხვევების გამოძიების ეფექტიანობის შეფასება წარმოადგენს, ამ ტრილში მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, პოლიციელთა მხრიდან წამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის გამოძიების თვალსაზრისით.

არასათანადო მოპყრობის აბსოლუტური აკრძალვის მიზნით, გაეროსა და ევროსაბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა (მათ შორის საქართველომ) დანაშაულის თითოეულ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების ჩატარების პოზიტიური ვალდებულება იკისრეს. პრეცედენტული გადაწყვეტილებების მეშვეობით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა სტანდარტები, რომლის გათვალისწინებითაც, ასევე, საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი რამდენიმე გადაწყვეტილების ფარგლებში, სახელმწიფომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის წინაშე აიღო ვალდებულება, გაეტარებინა ისეთი ღონისძიებები, როგორცაა, ერთი, მხრივ ჯეროვანი საკანონმდებლო გარანტიების შექმნა სახელმწიფო მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფისთვის, მეორე მხრივ, წაგებულ ან მორიგებით დასრულებულ საქმეებზე ეფექტიანი გამოძიების ჩატარება.

საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების თანახმად, პოლიციელთა მხრიდან ჩადენილი წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტებზე:

ა) სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დაუ-

ყოვნებლივი და ეფექტური გამოძიების ჩატარება;

ბ) გამოძიებლები უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი, კომპეტენტური და მოუკერძოებელნი;

გ) საგამოძიებო ორგანოებს უნდა გააჩნდეთ ვალდებულება სრულად მოიპოვონ გამოძიებისთვის საჭირო ინფორმაცია;

დ) უზრუნველყოფილ უნდა იყოს დაზარალებულის მაქსიმალური ჩართულობა გამოძიების პროცესში და ხელმისაწვდომობა გამოძიების მასალებზე.

ზემოაღნიშნული სტანდარტების საქართველოს კანონმდებლობაში განმტკიცების მიზნით სარჩელით მივმართეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და სადაც სადავოდ გავხადეთ მთავარი პროკურორის უფლებამოსილება, რომელიც მოიაზრებს კონკრეტულ საქმეზე საგამოძიებო ქვემდებარეობის შეცვლას ყოველგვარი წინაპირობის გარეშე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ემუხლისმე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით „საქართველოს მთავარ პროკურორს ან მისმიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს საქმე და გამოსაძიებლად გადასცეს სხვა საგამოძიებო ორგანოს.“ ნორმას ისეთი შინაარსიც აქვს, რომ მთავარ პროკურორს უფლება აქვს ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს სისხლის სამართლის საქმე (განსაზღვრული ქვემდებარეობის მიუხედავად) და გამოსაძიებლად გადასცეს იმ ორგანოს, რომლის თანამშრომლის (პოლიციელის) მიერ კონსტიტუციის მე-17 მუხლის მეორე პუნქტით

დაცული უფლების (წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა) ხელყოფის ფაქტზე არსებობს საფუძვლიანი საჩივარი.

მიგვანჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-17(2) მუხლში მოიაზრება სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება - ჩაატაროს ქმედითი და ეფექტიანი გამოძიება. გამომდინარე იქიდან, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციის მე-17(2) მუხლის პოზიტიურ ასპექტზე პრაქტიკა არ აქვს, საკითხი სუკეთ აღსაქმელად სარჩელი ძირითადად ეფუძნება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ სახელმწიფოს აქვს ორი ტიპის ვალდებულება: (1) ნეგატიური, რომლის მიხედვითაც მას თავად ეკრძალება უფლებაში ჩარევა და მისი შეზღუდვა და; (2) პოზიტიური, რომელიც სახელმწიფოსგან მოითხოვს „ჩატარდეს ეფექტიანი ოფიციალური გამოძიება. აღნიშნულ გამოძიებას შედეგად უნდა მოჰყვეს პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა. წინააღმდეგ შემთხვევაში, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ლეგალური აკრძალვა, მისი ფუნდამენტური მნიშვნელობის მიუხედავად, პრაქტიკაში არაეფექტიანი იქნებოდა და ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელს გახდიდა სა-

ხელმწიფო მოხელეთა მხრიდან, მათ კონტროლქვეშ მყოფ პირთა უფლებების დარღვევას, თითქმის სრული დაუსჯელობის პირობებში“

პრაქტიკაში ჩამოყალიბდა პოზიტიური ვალდებულების ეფექტიანად შესრულებისათვის საჭირო სამართლებრივი სტანდარტები. მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ 7 საქმეში (ე.წ. „ღარიბაშვილის ჯგუფის“ საქმეები), სასამართლო აღნიშნავს, რომ აუცილებელია არსებობდეს არა მხოლოდ პრაქტიკული, არამედ იერარქიულად და ინსტიტუციურად დამოუკიდებელი გამოძიება. გამოძიებაზე პასუხისმგებელი და მისი წარმმართველი პირები დამოუკიდებელნი და მიუკერძოებელნი უნდა იყვნენ, როგორც სამართლის, ისე პრაქტიკის თვალსაზრისით. არ უნდა არსებობდეს იერარქიული ან ინსტიტუციური კავშირი მოვლენების მონაწილე პირებთან⁶.

მიგვანჩნია, რომ ევროსასამართლოს მიერ კონვენციის პირველი და მესამე მუხლების ერთობლივი წაკითხვით გამოკვეთილი პოზიტიური ვალდებულება, როგორც ცნება, იდენტური სახით არსებობს საქართველოს კონსტიტუციის მე-17(2) მუხლში, ხოლო სადავო ნორმა ეწინააღმდეგება ამ უკანასკნელს, რადგან ქმნის ინსტიტუციურად დაქვემდებარებული, არაეფექტიანი გამოძიების წარმართვის შესაძლებლობას.

თავი 7. სტატისტიკური მონაცემები

სანამ უშუალოდ საქმეების მიმოხილვასა და მათში არსებული დარღვევების აღწერაზე გადავიდოდეთ, მნიშვნელოვანია შეფასდეს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან და საერთო სასამართლოებიდან მიღებული ინფორმაცია, როგორც გამოძიების დაწყების, ასევე ამ კატეგორიის საქმეებზე გამოტანილი განაჩენების თაობაზე. კერძოდ:

ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე, საქართვე-

ლოს პროკურატურის მიერ, 2017 წლის 17 ოქტომბერს მოწოდებული ინფორმაციით გვეცნობა, რომ 2013-2017 წლებში პოლიციელთა მიერ წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის 452 ფაქტზე დაიწყო გამოძიება, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული იყო სულ 76 პირის მიმართ. უფრო დეტალურად მონაცემები ასე გამოიყურება:

	2013 წელი				2014 წელი				2015 წელი		2016 წელი	2017 წლის 9 თვე
გამოძიების დაწყება (საქმეები)	203 საქმე				95 საქმე				130 საქმე		173 საქმე ¹	149 საქმე ²
დევნის დაწყება (პირები) ³	144 ¹	144 ³	333	332	144 ¹	144 ³	147	333	144 ¹	333	333	333
	14	4	10	7	3	4	7	13	4	3	5	1

1 სსკ-ის 1441 - 1 საქმე, სსკ-ის 1443 - 3 საქმე, სსკ-ის 333 - 169 საქმე

2 სსკ-ის 1441 - 5 საქმე, სსკ-ის 1443 - 10 საქმე, სსკ-ის 333 - 134 საქმე

3 აქ მითითებული რაოდენობა არ ემთხვევა ზემოთ მითითებულ 76 პირს, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში პირის მიმართ დევნა დაწყებულია ორი სხვადასხვა მუხლით და დევნის მაჩვენებელში ეს პირი მითითებულია ორივე შემთხვევაში.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს პროკურატურის მიერ პოლიციელთა მხრიდან დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტებზე გამოძიების დაწყების მაჩვენებელი 2014 წლიდან მატულობს, თუმცა ამის პროპორციულად 2014-2015 წლებში მნიშვნელოვნად არის შემცირებული როგორც წამების, არაადამიანური ანდა ღირსების შემლახავი მოპყრობის კვალიფიკაციით გამოძიების დაწყება, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემთხვევები. განსაკუთრებით საყურადღებო ვითარებაა 2016-2017 წლებში, მაშინ როცა გამოძიება დაწყებულია 322 საქმეზე (29 შემთხვევაში საქართველოს სსკ-ის 144¹ და 144³ მუხლით) და მათგან მხოლოდ 6 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, ისიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით - სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების კვალიფიკაციით. ასეთი სტატისტიკური მაჩვენებლები, იმ ფონზე რომ რეალურად წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები ქვეყანაში წლიდან

წლამდე მატულობს, პირდაპირ მიუთითებს სათანადო გამოძიებისა და ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნის პრობლემაზე და სრულად ადასტურებს საქართველოს სახალხო დამცველისა თუ სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ექსპერტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ამ კატეგორიის საქმეების არაეფექტურ გამოძიებასთან დაკავშირებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ, 2017 წლის 11 აგვისტოს, მოწოდებული ინფორმაციით კი ირკვევა, რომ საერთო სასამართლოების მიერ 2013-2017 წლებში საქართველოს სსკ-ის 144² მუხლით არც ერთი სისხლის სამართლის საქმე არ განხილულა, ხოლო 144¹ და 144³ გათვალისწინებულ დანაშაულებზე სულ განხილულია 25 სისხლის სამართლის საქმე, 85 პირის მიმართ, რომელთაგან 18 (მათი უმრავლესობა ბრალდებული იყო წამების ჩადენაში) გამართლებულ იქნა სასამართლოების მიერ.

სასამართლოში განხილულ საქმეთა სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

	2013 წელი		2014 წელი		2015 წელი		2016 წელი		2017 წლის 7 თვე		2013-2017 წ.წ.
სსკ-ის მუხლები	144 ¹	144 ³	144 ¹	144 ³	144 ¹	144 ³	144 ¹	144 ³	144 ¹	144 ³	144 ¹ ,144 ³
სულ(საქმე/პირი)	3/16	2/20	6/18	5/9	2/2	2/3	2/11	1/2	2/4		25/85
თბილისი	1/8	1/15	3/8	2/3			1/7 ⁴		1/3		9/44
რუსთავი	1/5	1/5	½				1/4 ⁵		1/1		5/17
ზუგდიდი				1/1	1/1 ⁶	2/3 ⁷		1/2 ⁸			5/7
ქუთაისი	1/3			1/1							2/4
გორი				¼							1/4
ოზურგეთი			1/3								1/3
ხელვაჩაური			1/5								1/5
ბოლნისი					1/1 ⁹						1/1
<p>4 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 30 მაისის განაჩენი მსჯავრდებულთა მიერ სხვა მსჯავრდებულის წამების ფაქტებზე</p> <p>5 რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 17 ნოემბრის განაჩენი ფიზიკური პირების მიერ ფიზიკური პირის წამების ფაქტზე</p> <p>6 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 28 ივლისის განაჩენი ფიზიკური პირის მიერ ფიზიკური პირის წამების ფაქტზე.</p>						<p>7 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 11 თებერვლის და 2 ივლისის განაჩენები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 2010-2012 წელს მომხდარ ფაქტებზე</p> <p>8 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 29 ნოემბრის განაჩენი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 2009-2012 წელს მომხდარ ფაქტებზე</p> <p>9 ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 19 აგვისტოს განაჩენი ფიზიკური პირის მიერ მეუღლის მიმართ განხორციელებული წამების ფაქტზე.</p>					

უზენაესი სასამართლოს მონაცემებზე დაყრდნობით საერთო სასამართლოებიდან ცალ-ცალკე გამოვითხოვეთ განაჩენები. სამწუხაროდ, სასამართლოებმა მხოლოდ 25 განაჩენი მოგვანოდეს, რაც მიღებული განაჩენების მხოლოდ 60%-ს წარმოადგენს და მათი უმრავლესობა 2012-2017 წლებში სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს შეეხება. კერძოდ: ოზურგეთის, ბოლნისის, გორისა და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოების მიერ 2013-2017 წლებში შემოთხსენებული დანაშაულის ჩადენისათვის გამოტანილი 4 განაჩენიდან 3 გამოტანილია არა სამართალდამცავის მიერ განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე, ხოლო 1 - სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის მიერ 2012 წლის თებერვალ-აპრილში განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოების მიერ სულ გამოტანილ 5 განაჩენიდან 1 შეეხება რიგითი პირის მიერ განხორციელებული წამების, სამი - სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის მიერ 2009-2012 წლებში განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს, ხოლო ერთი 2009 წელს პოლიციის მაღალი თანამდებობის პირის მიერ განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტს.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ, ჩვენი მოთხოვნის საპასუხოდ მათ მიერ მიღებული განაჩენიდან მხოლოდ 2 განაჩენი მოგვანოდა, რომელთაგან 1 განაჩენი გამოტანილია რიგითი პირის, ხოლო 1 - სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის მიერ 2007-2012 წლებში განხორციელებული წამების ფაქტებზე, სხვა განაჩენების გადმოცემაზე უარი კი სასამართლომ ამ კატეგორიის

საქმეების დახურულ სასამართლო სხდომაზე განხილვით ახსნა.

ანალოგიური მოტივით არც ერთი განაჩენი არ გამოგვიგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლომ. მათგან მიღებული წერილით ირკვევა, რომ ამ კატეგორიის საქმეების განხილვა წარიმართა ნაწილობრივ დახურულ სხდომებზე, შესაბამისად “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე, მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას გამოეგზავნათ განაჩენები, მათ შორის დაშტრიხული სახით.

ანალოგიური არგუმენტით გვითხრა განაჩენების გადმოცემაზე უარი თბილისის საქალაქო სასამართლომაც. მათი განმარტებით მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდება შესაძლებელი იყო მხოლოდ ნაწილობრივ, ვინაიდან ამ კატეგორიის საქმეების განხილვა უმრავლეს შემთხვევაში ხდებოდა დახურულ სასამართლო სხდომაზე, რის გამოც მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, დაემუშაებინათ და მოეწოდებინათ განაჩენები. მიღებული 4 განაჩენის შესწავლით კი დგინდება, რომ 1 მათგანი გამოტანილია მსჯავრდებულთა მიერ სხვა მსჯავრდებულის მიმართ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ჩადენილი წამების, ხოლო 3 - სასჯელაღსრულებისა და თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების მიერ 2007-2012

წლებში განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე.

საკითხის სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით სასამართლოთა მხრიდან გამოგზავნილი განაჩენები შედარდა სტატისტიკურ ინფორმაციას, რის შედეგადაც ირკვევა, რომ 2015-2016 წლების მონაცემები სრულად ემთხვევა გამოგზავნილ განაჩენებს და ცხადია, რომ ამ წლებში პოლიციელთა მხრიდან განხორციელებული წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტებზე არც ერთი განაჩენი არ გამოტანილა. ლოგიკურია, რომ ასეთი განაჩენი 2017 წელს გამოტანილი ვერ იქნებოდა, ვინაიდან 2016-2017 წლებში საქართველოს პროკურატურას საქართველოს სსკ-ის 144¹ და 144³ მუხლებით პოლიციელთა მიმართ დევნა საერთოდ არ დაუწყია.

შესაბამისად ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზით დგინდება, რომ 2015-2017 წლებში, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ არც ერთი განაჩენი არ გამოტანილა პოლიციის თანამშრომელთა მიერ წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტებზე, რაც პირდაპირ ჩატარებული გამოძიებისა და განეული საპროცესო ხელმძღვანელობის არაეფექტიანობაზე უთითებს.

თავი 8. პოლიციელთა მხრიდან წამების, არასათანადო და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

კვლევის აღნიშნულ ნაწილში GDI-ს წარმოებაში არსებული საქმეებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ მათ წარმოებაში არსებული საქმეების შესახებ გაზიარებული ინფორმაციის (სულ 38 საქმე) საფუძველზე გაანალიზდება სახელმწიფოს მიერ არასათანადო მოპყრობის საქმეებზე ეფექტიანი გამოძიების საკითხი. პრობლემების მეტი სიზუსტით იდენტიფიცირების მიზნით,

კვლევაში წარმოდგენილია სოციოლოგის მონაწილეობით შექმნილი კითხვარის საფუძველზე გამოკითხული 11 დაზარალებულისა და 132 ადვოკატის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

საქმეთა შესწავლით გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც მთლიანად ეჭვვემ აყენებს პოლიციელთა მხრიდან ჩადენილი წამების, არაადამიან-

ნური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტებზე სახელმწიფოს მხრიდან აღებული ვალდებულების შესრულებას. ესენია:

გამოძიების არ დაწყება ან დაგვიანებით დაწყება - გამოძიების დროულად დაწყების მნიშვნელობაზე არაერთი მოსაზრება გამოთქმულა. ეს ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ კატეგორიის საქმეებზე ეფექტური რეაგირების თვალსაზრისით, ვინაიდან დაგვიანებულმა გამოძიებამ შესაძლოა შეაფერხოს მტკიცებულებების მოპოვება, ვინაიდან არსებობს რისკი, რომ წამების ან არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებული სამხილები, მით უმეტეს როცა ეს სახელმწიფო მოხელის მხრიდან არის ჩადენილი, განადგურდეს, ხოლო დაზიანებები რომელიც მსხვერპლს მიაღება, მოშუშდეს. შესაბამისად სახელმწიფოს ვალდებულება - აწარმოოს ეფექტური გამოძიება წამებისა და არასათანადო მოპყრობის საქმეებზე თავის თავში გულისხმობს არა მხოლოდ გამოძიების დროულად ჩატარების ვალდებულებას, არამედ ამ გამოძიების დროულად დაწყებასაც, რათა საკმარისი მტკიცებულებების მოპოვება, დამნაშავე პირთა გამოსავლენად არ შეფერხდეს.

როგორც ჩვენს მიერ შესწავლილი საქმეები მიუთითებს, პოლიციელთა მხრიდან გამოვლენილი წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება ძირითადად იწყება დაგვიანებით, უშუალოდ მოქალაქის მიმართვის ან საკითხში სახალხო დამცველისა თუ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ჩარევის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დიდი ნაწილი რამდენიმე საათით მაინც იყო განთავსებული დროებითი მოთავსების იზოლატორში და შესაბამისი ოქმები შეიცავენ მითითებას მათ სხეულზე არსებული დაზიანებების თაობაზე. ამის ნათელი მაგალითია დ.გ.-ს საქმე, რომელიც 2016 წლის 26 ივნისს ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს დაროგორც მსხვერპლი აცხადებს დანაშაულის აღიარების მოთხოვნით სასტიკად სცემეს. შედეგად დ.გ-მ მიიღო ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი დაზიანებები, მათ შორის

დაუზიანდა რამდენიმე კბილი, აღენიშნებოდა ნაკვეთი ჭრილობები ცხვირისა და სახის არეში და სხვა. აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება დაწყებულ იქნა შემთხვევიდან დაახლოებით 20 დღის შემდეგ, სახალხო დამცველის მოთხოვნის საფუძველზე. საბოლოოდ გამოძიება შეწყდა. კიდევ უფრო მძიმე ვითარებაა შ.პ.-ს საქმეში, რომელმაც დაკავებისას მკაცრი სასჯელის შიშით დიდი დოზით ნარკოტიკული ნივთიერება გადაყლაპა და სთხოვდა რა სამედიცინო დახმარებას პოლიციის თანამშრომლებს, მას ფიზიკურად გაუსწორდნენ. შედეგად შ.პ. რამდენიმე დღე კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. აღნიშნულ საქმეზეც გამოძიება დაწყებულია მომხდარი ფაქტიდან ერთი კვირის შემდგომ და მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებობს შ.პ.-ს პოლიციის შენობაში მიყვანისა და ჩხრეკის ამსახველი ვიდეო მასალა, სადაც ნათლად იკვეთება მის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტი. ანალოგიური ვითარებაა ი.ბ.-ს შემთხვევაშიც, რომელიც 2017 წლის 16 თებერვალს, პოლიციის თანამშრომლებმა უსაფუძვლოდ დააკავეს და მასზე განახორციელეს ძალადობა. როგორც მსხვერპლი აცხადებს, მას სთხოვდნენ ელიარებიანა დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენია, ემუქრებოდნენ ნარკოტიკული ნივთიერების ჩადებით და პარალელურად აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას. მას შემდგომ, რაც გაირკვა, რომშეცდომით, სხვა პირის ნაცვლად დააკავეს, იგი გაათავისუფლეს. ჩატარებული სამედიცინო შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ი.ბ.-ს აღენიშნებოდა არაერთი დაზიანება და დაჟეჟილობა. აღსანიშნავია, რომ გამოძიება შემთხვევიდან მხოლოდ ერთი თვის შემდგომ, 2017 წლის 15 მარტს დაიწყო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადების საფუძველზე.

ამ საკითხთან მიმართებაში ასევე გამოიკითხა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლნი. 11 რესპოდენტიდან მხოლოდ 6 უპასუხა რეაგირების ვადებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას და მათგან მხოლოდ ერთი პირის განცხადებას მოყვა რეაგირება შეტანიდან 5 დღემდე ვადაში, დანარჩენი 5 აცხადებს, რომ მის საქმეზე გამოძიება მოგვიანებით დაიწყო.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად „დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, გამომძიებელი და პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება,“ ხოლო 101-ე მუხლი ადგენს გამოძიების დაწყების საფუძვლად ისეთი წერილობითი ან ზეპირი ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობას, რომელიც მიანოდეს გამომძიებელს ან პროკურორს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მედიაში. ხსენებული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ განსხვავებით საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს საგამომძიებლო ორგანოს მხრიდან დაუყოვნებლივი გამოძიების დაწყების ვალდებულებას, ისევე, როგორც, არ არსებობს გამოძიების დაწყების საფუძვლების შეფასების ერთიანი სტანდარტი და ეს გადაწყვეტილება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამომძიებლის და მისი საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის მიერ მიიღება. გადაწყვეტილების მიმღებ პირებს კი კანონის აღნიშნულ ნორმებზე დაყრდნობით, განუსაზღვრელი დროის განმავლობაში, შეუძლიათ სუბიექტურად შეაფასონ მიღებული ინფორმაციის შინაარსი, დაელოდონ საზოგადოების ან/და უფლებადამცველების რეაქციას ფაქტთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტონ დაიწყონ ან არ დაიწყონ მასზე გამოძიება. აღნიშნული გადაწყვეტილება კი ზოგჯერ დაგვიანებითაც მიიღება, რაც ხელს უწყობს არსებული მტკიცებულებების განადგურებას და აფერხებს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას.

გამომძიებლის წარმართვა არასწორი კვალიფიკაციით - წარმოებული საქმეების ფარგლებში, გამოიკვეთა, რომ საქართველოს პროკურატურა თავს არიდებს პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის სწორ სისხლისსამართლებრივ კვალიფიკაციას. ამას ადასტურებს არაერთი კვლევა თუ ანგარიში. თავად პროკურატურის მიერ მოწოდებული სტატისტიკაც ადასტურებს, რომ 2016-2017 წლებში (სამწუხაროდ წინა წლებ-

ში მსგავსი სტატისტიკა არ არსებობს) პოლიციელთა მხრიდან წამების, არასათანადო და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტებზე დაწყებული 332 საქმიდან, მხოლოდ 19 (5%) იქნა დაკვალიფიცირებული თავიდანვე საქართველოს სსკ-ის 144¹ ან 144³ მუხლებით და ყველა დანარჩენზე გამოძიება სწორედ 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) მუხლით არის დაწყებული. შესწავლილი 38 საქმის ანალიზით კი ირკვევა, რომ მათგან მხოლოდ ორზე დაიწყო გამოძიება სწორი კვალიფიკაციით, ხოლო ორ საქმეზე მოგვიანებით არასამთავრობო ორგანიზაციათა მოთხოვნით შეიცვალა კვალიფიკაცია. ყველა სხვა საქმეზე გამოძიება გრძელდება ან შეწყდა, ისე რომ საქმეს კვალიფიკაცია არ შეცვლია. ამ საქმეებში ძირითადად არსებობს ხელშესახები მტკიცებულება, რაც პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტს ადასტურებს. ამ პრობლემაზე მიუთითებს გამოკითხვებიც, სადაც გამოკითხული 9 დაზარალებულიდან მხოლოდ 3-ის შემთხვევაში დაიწყო გამოძიება სწორი კვალიფიკაციით, ხოლო გამოკითხულ ადვოკატთა მხოლოდ 30% მიუთითებს, რომ გამოძიების დაწყება სწორი კვალიფიკაციით ხდება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹ მუხლის თანახმად, წამება არის პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათის, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის ან მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის კომენტარების თანახმად “ისეთი პირობების შექმნა“ ნიშნავს პირისათვის ადამიანური პირობების მოსპობას, მაგალითად პირის მოთავსება ბნელ, კეთილმოწყობილ ოთახში, სადაც გამუდმებული ხმაურია, არ არსებობს ე.წ. “სველი წერტილი“, არასრულფასოვანი საკვების მიცემას და ისიც მცირე

დობით და ა.შ., ხოლო “მოპყრობა“ გულისხმობს უფრო აქტიურ, აგრესიულ ქმედებას, მაგალითად ცემას, სხვაგვარ ძალადობას, პირის იძულებას საათობით იდგეს ფეხის წვერებზე, ხელებანული, დადგეს მუხლებზე და ა.შ. თავად ეს ქმედებები კი მხოლოდ მაშინ იძლევა წამების შემადგენლობას თუ იგი გამოირჩევა განსაკუთრებული ხასიათით, ან ინტენსივობით ანდა ხანგრძლივობით და ამგვარი თვისებების გამო იწვევს მძიმე შედეგს.

ამავე სახელმძღვანელოს მიხედვით, ქმედების ხასიათში იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა ეს ქმედება ერთჯერადად ჩადენის შემთხვევაშიც, როგორც წესი იწვევს წამებისთვის დამახასიათებელ მძიმე შედეგს, ქმედების ინტენსივობაში იგულისხმება ძალადობის ხარისხი და მისი უწყვეტობა (მაგალითად: სისტემატიური ცემა ანდა ცემა ისეთი ძალით და ისეთ ორგანოებში, რომელიც ამ ძალადობის შეწყვეტის შემდეგაც ხანგრძლივ ფიზიკურ ტკივილს იწვევს, ხოლო ქმედების ხანგრძლივობა გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როცა ქმედება ცალკე აღებული არც ხასიათითაა გამორჩეული და არც ინტენსივობით, მაგრამ იგი გრძელდება იმდენად ხანგრძლივად, რომ იწვევს ნორმაში მითითებულ შედეგს - ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144³-ე მუხლის თანახმად კი დასჯადია პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს,

სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარის ავტორთა მოსაზრებით არაადამიანურ მდგომარეობაში ჩაყენება, ფაქტობრივად არაფრით განსხვავდება წამების ობიექტური მხარისაგან, ვინაიდან იგი შეიძლება გამოიხატოს იგივე ქმედებაში რაც დამახასიათებელია წამებისთვის, იმ განსხვავებით, რომ არაადამიანური მოპყრობის დროს დამნაშავეს არ ამოძრავებს ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, ხოლო საქარ-

თველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაზე, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის კომენტარის ავტორთა მოსაზრებით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება შეიძლება გამოიხატოს: ა) მოხელის მიერ ისეთი მოქმედების ჩადენაში, რომელიც სხვა მოხელის ან სხვა უწყების უფლებამოსილებაში შედის; ბ) მოხელის მიერ ისეთი მოქმედების განხორციელებაში, რომელიც შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას, კანონში მითითებული საფუძვლით; გ) მოხელის მიერ ისეთი მოქმედების განხორციელებაში, რომელიც შესაძლოა გადაწყდეს მხოლოდ კოლევგური ორგანოს მიერ; დ) მოხელის მიერ ისეთი მოქმედების განხორციელებაში რომელიც არც ერთ ვითარებაში, არც ერთმა თანამდებობის პირმა არ უნდა განახორციელოს.

როგორც ვხედავთ ეს ორი ქმედება (იგულისხმება ერთის მხრივ წამება და არაადამიანური მოპყრობა და მეორეს მხრივ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) თავისი შინაარსით მნიშვნელოვნად განხვავდება ერთმანეთისაგან და მაშინ როცა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ზოგადად საჯარო მოხელის მხრიდან თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედების მაიძულებელი ნორმაა, წამება და არაადამიანური მოპყრობა მკაცრად სჯის ყველა ისეთ მოქმედებას, რომელიც მიმართულია პირისათვის ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილის ან მორალური ტანჯვის მისაყენებლად. ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებაზე მიუთითებს თვით ამ მუხლებით გათვალისწინებული სასჯელის ზომები და მაშინ როცა უფლებამოსილების გადამეტების ყველაზე მძიმე შემთხვევა 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება, ანუ მძიმე კატეგორიის დანაშაულს წარმოადგენს, ნა-

მების ზოგიერთი შემთხვევა უვადო თავისუფლების აღკვეთასაც კი ითვალისწინებს.

ამ ყველაფრის ფონზე, ჩნდება ლოგიკური კითხვა, თუ რატომ არიან სახელმწიფო თავს სწორი კვალიფიკაცია მიანიჭოს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს, მაშინ როცა ცალკეულ შემთხვევებში სახეზეა წამების მოტივი (ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება) ან ისეთი მოპყრობა (სისტემატიური ცემა ანდა ცემა ისეთი ძალით და ისეთ ორგანოებში, რომელიც ამ ძალადობის შეწყვეტის შემდეგაც ხანგრძლივ ფიზიკურ ტკივილს იწვევს), რომელიც ძლიერ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტკივილს ან/და მორალურ ტანჯვას იწვევს.

პირველ რიგში ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს დანაშაულის შესახებ სტატისტიკის გაკეთილშობილების სურვილით. მეორე მხრივ კი ეს დიდი ალბათობით უკავშირდება მსხვერპლისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისაგან თავის დაზღვევას, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლი წარმოადგენს მძიმე კატეგორიის დანაშაულს და ამ შემთხვევაში მსხვერპლი 2019 წლის 01 იანვრამდე მოკლებულია შესაძლებლობას, სასამართლოს მიმართოს საჩივრით, თუ პროკურორი უარს აცხადებს მის დაზარალებულად ცნობაზე. ამ მოსაზრების მართებულობას ადასტურებს პროკურორთა მიერ ამ კატეგორიის საქმეებზე მასიურად მიღებული გადაწყვეტილებები, დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე, რაზეც ქვემოთ უფრო დეტალურად ვისაუბრებთ.

მსხვერპლის ჩართულობა გამოძიების პროცესში და ხელმისაწვდომობა გამოძიების მასალებზე - საგამოძიებო პრაქტიკაში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მსხვერპლის ჩართულობა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში და გამოძიების მასალებზე ხელმისაწვდომობა. კერძოდ: ჩვენს მიერ შესწავლილი 38 საქმიდან მხოლოდ 6 საქმეზე განხორციელდა მსხვერპლისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება. აქედან ერთ შემთხვევაში დაზარალებულად ცნობა მოხდა საქმეზე, სადაც ერთი პოლიციელის მიმართ დაიწყო დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე

მუხლით, ერთ შემთხვევაში არასათანადო მოპყრობის მსხვერპლმა ჩაიდინა თვითმკვლელობა და მისი მამა ცნობილია დაზარალებულის უფლებამონაცვლედ. დანარჩენ 4 შემთხვევაში პირის დაზარალებულად ცნობა განხორციელდა მათი უფლებადამცველების სისტემატიური და დაჟინებული მოთხოვნით (ვ.მ.-ს საქმეზე - შემთხვევიდან 9 თვის გასვლის შემდეგ), მათ შორის სასამართლოსადმი საჩივრით მიმართვის გზით.

ყველა სხვა შემთხვევაში წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის მსხვერპლთ უარი ეთქვათ დაზარალებულად ცნობაზე, იმ მოტივით რომ არ იყო დადგენილი დანაშაულის ჩამდენი პირები, შესაბამისად ყველა ამ პირს წაერთვა უფლება გაცნობოდა საქმის მასალებს და ჩართული ყოფილიყო მათი გამოძიების პროცესში. საქმეთა შესწავლით ასევე იკვეთება, რომ პირისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება არ ხდება მაშინაც კი როცა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ პირს მიღებული აქვს სხეულის დაზიანება ან/და პირი კონკრეტულად ასახელებს იმ პოლიციელთა სახელებსა და გვარებს, რომლებმაც მიაყენეს დაზიანებები და მის მიმართ განახორციელეს არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა.

ამ მიმართულებით პრობლემის არსებობას ასევე ადასტურებს კვლევის პროცესში გამოკითხული დაზარალებულები, რომელთა თანახმად (სულ 9 რესპოდენტი) პროკურატურის მხრიდან საკუთარი ინიციატივით არც ერთი მათგანის დაზარალებულად ცნობა არ მომხდარა. ამ პირებმა მოითხოვეს რა დაზარალებულად ცნობა, 3 შემთხვევაში დაკმაყოფილდა გამოძიების დაწყებიდან სხვადასხვა ვადებში, ხოლო 5 პირს უარი ეთქვა დაზარალებულად ცნობაზე გაურკვეველი მოტივით. ხსენებულმა პირებმა პროკურორის გადაწყვეტილება დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ გაასაჩივრეს ზემდგომ პროკურორთან და ერთ შემთხვევაში სასამართლოშიც, რის შემდგომაც 1 საჩივარი დააკმაყოფილა სასამართლომ, 1 საჩივარი ზემდგომმა პროკურორმა, ხოლო 3 პირს ზემდგომმა პროკურორმა, იდენტური

მოტივით, უარი უთხრა დაზარალებულად ცნობაზე. ანალოგიური ვითარება ფიქსირდება ადვოკატების გამოკითხვის შედეგადაც, ვინაიდან გამოკითხული 132 ადვოკატიდან, მხოლოდ 8-ს ჰქონია შემთხვევა პრაქტიკაში, როცა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი ცნობილი იქნა დაზარალებულად ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე.

როგორც ვხედავთ პროკურორები არ იღებენ გადანყვეტილებას წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის მსხვერპლთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი ეფექტური გამოძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და ამის თაობაზე არაერთხელ გამოუთქვამს პრეტენზია როგორც საქართველოს სახალხო დამცველს, ისე ადგილობრივ თუ საერთაშორისო ექსპერტს.

აღნიშნული პრობლემა გამომდინარეობს როგორც საქართველოს კანონმდებლობიდან, ასევე პროკურატურის სისტემაში ზოგადად დამკვიდრებული პრაქტიკიდან, პირისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების თაობაზე. კერძოდ:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ირიბად იმსჯელა ამ საკითხზე და აღნიშნა, რომ „დაზარალებული თავისი ინტერესით ბუნებრივად არის უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ მოწმე, რაც, თავისთავად, მოითხოვს მის სათანადო და საკმარის ჩართულობას პროცესში. დაზარალებული ინფორმირებული უნდა იყოს საქმის მსვლელობის შესახებ მის ყველა ეტაპზე, ყველა კატეგორიის დანაშაულზე ჰქონდეს შესაძლებლობა, გაასაჩივროს, მათ შორის, სასამართლოში, დაზარალებულად ცნობასა და დევნის დაწყებაზე უარის თქმის, ისევე, როგორც დევნის/გამოძიების შეწყვეტის შესახებ პროკურორის გადანყვეტილება, მიიღოს სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, უნდა მიეცეს პროცესზე დასწრების და განცხადებების, მოსაზრებების, მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა.“

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მეხუთე ნაწილის 2018 წლის 21 ივლისის ცვლილებებამდე რედაქციის თანახმად, პირის დაზარალებულად ცნობის სათანადო საფუძვლის არსებობისას პროკურორს გამოაქვს დადგენილება საკუთარი ინიციატივით ან პირის მიერ შესაბამისი განცხადებით მიმართვის შემთხვევაში. თუ პროკურორმა განცხადება არ დააკმაყოფილა, პირს უფლება აქვს დაზარალებულად ცნობის მოთხოვნით ერთჯერადად მიმართოს ზემდგომ პროკურორს, რომლის გადანყვეტილებაც საბოლოოა და არ საჩივრდება გარდა იმ შემთხვევისა, როცა ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული.

საგამოძიებო პრაქტიკაში ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს კანონის აღნიშნული ჩანაწერი, კერძოდ კი კანონმდებლის დათქმა “სათანადო საფუძვლის” არსებობის თაობაზე, მით უმეტეს, რომ დაზარალებულის სტატუსის მინიჭებით პირს ეძლევა უფლება გაეცნოს საქმის მასალებს და ინფორმირებული იყოს გამომძიებლის და პროკურორის მიერ მიღებული ისეთი გადანყვეტილებების შესახებ, როგორცაა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე და ა.შ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარის ავტორთა მოსაზრებით „სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის პროცესუალური სტატუსით მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა ფორმალური და მატერიალური წინაპირობების არსებობა. ... გამოძიების დაწყებისთანავე თუ პროკურორისათვის ცნობილი გახდა დანაშაულებრივი ქმედებით პირისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, მან იგი დადგენილებით უნდა ცნოს დაზარალებულად.“

სამწუხაროდ, პროკურატურის მხრიდან კანონის აღნიშნული ჩანაწერი განმარტებულია სხვაგვარად და არა მხოლოდ ამ, არამედ ყველა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეზე, პირის დაზარალებულად ცნობა ხდება მას შემდეგ რაც დადგენილია

დანაშაულის ჩადენის ფაქტი და ამ დანაშაულის ჩამდენი პირი, ხშირ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ. აღნიშნული პრაქტიკა შედეგად იწვევს იმას, რომ მთელი გამოძიების მანძილზე პოლიციის მხრიდან წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის მსხვერპლთ ხელი არ მიუწვდებათ გამოძიების მასალებზე, არ მოეპოვებათ ინფორმაცია ჩატარდა თუ არა სათანადო საგამოძიებო მოქმედებები და შესაბამისად რამდენად სრულყოფილად და ობიექტურად მიმდინარეობს გამოძიების პროცესი, რაც მსგავსი კატეგორიის საქმეებზე ეფექტიანი გამოძიების ნაწილია.

ვთვლით, რომ მსხვერპლის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში გარკვეულწილად დასახვეწია. როგორც საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, სამართალწარმოების პროცესში დაზარალებულს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. დაზარალებული არის პირი, რომელსაც მიადგა უშუალო ზიანი დანაშაულის შედეგად, შესაბამისად მას აქვს პირდაპირი ინტერესი მართლმსაჯულების სწორად და ეფექტიანად განხორციელებისთვის. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ დაზარალებულს უნდა ჰქონდეს უფლება გაეცნოს და მიიღოს სისხლის სამართლის საქმის მასალები. მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული არ არის სისხლის სამართლის პროცესის მხარე, მისი ინტერესი ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია. დაზარალებულს უფლება აქვს გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუმცა ის ვერ მიიღებს ასლებს. საკონსტიტუციო სასამართლომ მოქალაქე ხათუნა შუბითიძის საქმეში მიანიშნა, რომ დაზარალებულს უნდა ჰქონდეს მასალების ასლების მიღების უფლება, თუმცა კანონმდებლობაში აღნიშნული საკითხი ასახული არ არის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პრაქტიკაში სისხლის სამართლის საქმის მასალები შესაძლოა რამდენიმე ტომისგან შედგებოდეს, რაც ართულებს დაზარალებულის სათანადო ჩართულობას სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში.

სრულყოფილი და დროული გამოძიება - საქართველოს კანონმდებლობით სწორედ გამოძიებულს ეკისრება ყოველმხრივი, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების ჩატარების ვალდებულება. ამ ვალდებულების შესრულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჯარო მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების ფარგლებში, ვინაიდან სწორედ ამ გზით შეიძლება საზოგადოების ნდობის შენარჩუნება სამართალდამცავი ორგანოების მიმართ. აქვე გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო სტანდარტებით, დროული და სრულყოფილი გამოძიება, ეფექტიანი გამოძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია და გამოძიების გაჭიანურების საკითხის შესაფასებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა იმას თუ რა ვადაში ჩატარდა გამოძიება, არამედ იმის შეფასებას მიმდინარეობდა თუ არა საქმეზე აქტიური საგამოძიებო მოქმედებები მთელი გამოძიების პროცესში.

დაწყებული გამოძიების ფარგლებში, გამოძიების არაეფექტიანობა დამნაშავის გამოსავლენად ნათლად ჩანს ვ.ლ.-სა და ო.ბ.-ს საქმეში, სადაც პირველ შემთხვევაში გამოძიებამ არ ჩაატარა არც ერთი საგამოძიებო მოქმედება, მანამ სანამ ვ.ლ.-ს ბრალდების საქმეზე არ იქნა მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, ხოლო მეორე შემთხვევაში საქმეზე გამოძიება ისე შეწყდა, რომ არ მომხდარა საქმის გარემოებების სრულყოფილი შესწავლა და მიუხედავად იმისა, რომ დადასტურებული იყო ო.ბ.-სადმი სამართალდამცავი ორგანოების კონტროლქვეშ დაზიანებების მიყენების ფაქტი. ანალოგიური ვითარებაა ვ.მ.-ს საქმეში, სადაც 2015 წლის ივლისის თვიდან, 2017 წლის მარტის თვემდე არც ერთი საგამოძიებო მოქმედება არ ჩატარებულა, რაც გამოძიების გაჭიანურების ფაქტს ადასტურებს. ცალკე აღნიშვნის ღირსია შ.პ.-ს საქმე, სადაც მხოლოდ მის მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე არსებული ვიდეოჩანაწერის მედიაში გასაჯაროების შემდეგ განხორციელდა საკვანძო მონემების დაკითხვა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ვიდეო ჩანაწერი გამოძიებას დიდი ხნით ადრე ჰქონდა მოპოვებული და შეეძლო შესაბამისად ემოქმედა კიდევ.

სამწუხაროდ, ჩვენს მიერ შესწავლილი საქმეების უმრავლესობაში (81%) მსხვერპლს არ მინიჭებია დაზარალებულის სტატუსი და მოკლებულია შესაძლებლობას გაეცნოს საქმის მასალებს. შესაბამისად შეუძლებელია დავასკვნათ თუ რა საგამოძიებო მოქმედებებს ატარებს პროკურატურა ამა თუ იმ საქმეში და რა ინტენსივობით, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული საქმეებზე მოპოვებული სტატისტიკა დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოტანილი განაჩენების თაობაზე მიუთითებს, რომ მინიმუმ 2014-2016 წლებში დაწყებულ გამოძიებებში იკვეთება გამოძიების გაჭიანურების პრობლემა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, გამოძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. ამასთან, მართალია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს გამოძიების ვადას, თუმცა მიუთითებს, რომ გამოძიება უნდა მიმდინარეობდეს გონივრულ ვადაში, კონკრეტულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში.

ამავდროულად სისხლის სამართლის პროცესში გამოძიებელი და პროკურორი წარმოადგენს ბრალდების მხარეს, რომელთაც საქმის გამოძიების პროცესში შეუძლიათ გადაწყვიტონ თუ რომელი საგამოძიებო მოქმედება ჩაატაროს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე, რა მიმართულებით წარმართონ გამოძიება და რა შედეგით დაასრულოს საქმე, უკვე შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე. პრაქტიკაში, როგორც წესი, ეს გამამტყუნებელი მტკიცებულებების მოპოვებისაკენ მიმართული მოქმედებებია და თუ არ არსებობს ნება, რომ გამოძიებულ იქნეს კონკრეტულ შემთხვევა, გამოძიებელს და პროკურორს შეუძლიათ უბრალოდ არ ჩაატარონ საგამოძიებო მოქმედებები ან ჩაატარონ ისეთი მოქმედებები, რომელიც მიმართული არ არის დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად.

გარდა იმისა, რომ კანონმდებლობაში არსებობს გარკვეული ხარვეზები, რაც გამოძიებელს და პროკურორს ანიჭებს უფლებამოსი-

ლებას თავისი შეხედულებით გადაწყვიტონ ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საკითხი, საქმეთა შესწავლის საფუძველზე რჩება შთაბეჭდილება, რომ გამოძიებლები არაკვალიფიციურობის ან/და მიუკერძოებლობის გამო, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში არ ატარებენ ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედებას ან ხელოვნურად აჭიანურებენ მტკიცებულებების მოპოვებას, რითაც საბოლოოდ სპობენ შესაძლებლობას მიღებულ იქნეს შემაჯამებელი გადაწყვეტილება დევნის დაწყების სახით. აღნიშნული კი პირდაპირ მიუთითებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნის აუცილებლობას, რათა არა მხოლოდ გამოირიცხოს ამ კატეგორიის საქმეების გამოძიება მიკერძოებული პირის მიერ, არამედ უზრუნველყოფილი იყოს სრულყოფილი გამოძიება.

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება - დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიების პრობლემაზე სახალხო დამცველისა თუ სხვა ორგანიზაციების არაერთ ანგარიშშია აღნიშნული. პრობლემის არსებობას ადასტურებს საქმეთა ანალიზიც. კერძოდ: ჩვენს მიერ შესწავლილი საქმეების აბსოლუტურ უმრავლესობაში სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული არ არის, მაშინ როცა თითქმის ყველა მათგანში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით არის დადასტურებული არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა სხეულზე მიყენებული დაზიანებები და ზოგიერთ შემთხვევაში მსხვერპლი ასახელებს კიდევ იმ პირთა სახელებს და გვარებს, რომელთაც განახორციელეს არასათანადო და ღირსების შემლახავი მოპყრობა. იკვეთება შემთხვევები, როცა გამოძიება სავარაუდოდ მიზანმიმართულად არ ატარებს საგამოძიებო მოქმედებებს დამნაშავე პირის გამოსავლენად, ხოლო ზოგჯერ ჩატარებული გამოძიებით გამოკვეთილია კონკრეტული პირის ბრალეულობა და არ ხდება გადაწყვეტილების მიღება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე. შესწავლილი საქმეების ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ მიუხედავად დაზიანებების არსებობისა, რომელიც დაკა-

ვებულ პირებს დაკავებამდე არ გააჩნდათ, არათუ პოლიციის თანამშრომლები დაისაჯნენ, არამედ განმცხადებლის მიმართ დაინყო სისხლისსამართლებრივი დევნა ცრუ დასმენის ფაქტზე და ამ საქმეებზე მიმდინარეობს სასამართლო განხილვა.

მიუხედავად ამისა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის N34 ბრძანების მეორე და მესამე პუნქტების თანახმად, პოლიციელის მიერ ჩადენილი, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები პროკურატურის გამომძიებლის საგამომძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება, რაც თავის მხრივ გამოძიების მიუხედავად იმისა, რომ ფაქტად აღიარდა, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამომხრჩვალ იპოვეს. აღნიშნულ ფაქტზე გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია აწარმოებდა, რომელმაც დაადგინა, რომ გარდაცვლილისათვის ფიზიკური და ფსიქიკური დაზიანებები კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებს არ მიუყენებიათ და შეწყვიტა გამოძიება. ასევე, თ.გ.-სა და სხვათა საქმეები, სადაც მსხვერპლთა განმარტებით თერჯოლის პოლიციის თანამშრომლებმა, დაახლოებით 7 საათის მანძილზე უკანონოდ დააკავეს სამი არასრულწლოვანი (მათ შორის სისხლისსამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი პირი) და აიძულებდნენ მათ ეღიარებინათ არ ჩადენილი დანაშაული და ეთანამშრომლათ გამოძიებასთან. ემუქრებოდნენ რომ “ჩაუდებდნენ” ნაქურდალ ნივთებს და წარადგენდნენ სასამართლოში. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტად აღიარდა 2015 წლის დეკემბერში და დადასტურებულია მინიმუმ უკანონო დაკავების ფაქტი, დღემდე არ მომხდარა პოლიციელთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, ხოლო თ.გ. და სხვა არასრულწლოვნები დაზარალებულად ცნობილი არ არიან და მოკლებულნი არიან შესაძლებლობას ინფორმირებულნი იყვნენ მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები მიუთითებს, რომ მიუხედავად ამ კატეგორიის საქმეების საქართველოს პროკურატურის გამომძიებლებისადმი ქვემდებარეობისა კვლავ პრობლემად რჩება გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მხრიდან, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია გამოძიების ეფექტურობის შესაფასებლად.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის N34 ბრძანების მეორე და მესამე პუნქტების თანახმად, პოლიციელის მიერ ჩადენილი, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები პროკურატურის გამომძიებლის საგამომძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება, რაც თავის მხრივ გამოძიების მიუხედავად იმისა, რომ ფაქტად აღიარდა, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამომხრჩვალ იპოვეს. აღნიშნულ ფაქტზე გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია აწარმოებდა, რომელმაც დაადგინა, რომ გარდაცვლილისათვის ფიზიკური და ფსიქიკური დაზიანებები კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებს არ მიუყენებიათ და შეწყვიტა გამოძიება. ასევე, თ.გ.-სა და სხვათა საქმეები, სადაც მსხვერპლთა განმარტებით თერჯოლის პოლიციის თანამშრომლებმა, დაახლოებით 7 საათის მანძილზე უკანონოდ დააკავეს სამი არასრულწლოვანი (მათ შორის სისხლისსამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი პირი) და აიძულებდნენ მათ ეღიარებინათ არ ჩადენილი დანაშაული და ეთანამშრომლათ გამოძიებასთან. ემუქრებოდნენ რომ “ჩაუდებდნენ” ნაქურდალ ნივთებს და წარადგენდნენ სასამართლოში. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტად აღიარდა 2015 წლის დეკემბერში და დადასტურებულია მინიმუმ უკანონო დაკავების ფაქტი, დღემდე არ მომხდარა პოლიციელთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, ხოლო თ.გ. და სხვა არასრულწლოვნები დაზარალებულად ცნობილი არ არიან და მოკლებულნი არიან შესაძლებლობას ინფორმირებულნი იყვნენ მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით.

დაკავებულის პოლიციის განყოფილებაში გადაყვანის შესახებ კანონმდებლობისა და პრაქტიკის ხარვეზები - ჩვენს წარმობაში არსებული საქმეების უმრავლესობაში, პირის დაკავების შემდგომ დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებამდე პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. საქართველოს კანონმდებლობა არ გთავაზობს მითითებას იმის შესახებ, თუ კონკრეტულად ვინ არის პასუხისმგებელი დაკავებაზე (დაკავების ნებართვის გაცემაზე) ან თუნდაც დაკავების კანონიერების შემოწმებაზე, რაც თავის მხრივ იმითაცაა განპირობებული, რომ არ არსებობს არანაირი შიდა ადმინისტრაციული მექანიზმი, რომლის საშუალებითაც იხელმძღვანელებენ სამართალდამცავები³³⁰. კონტროლის ეფექტური მექანიზმის არ არსებობა და პოლიციის განყოფილებაში პირის შეყვანის აღრიცხვისგან თავის არიდების საშუალება ზრდის არასათანადო მოპყრობის რისკებს.

დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებამდე პირის პოლიციის განყოფილებაში გადაყვანა სამართალდამცავების მიერ ხშირად აიხსნება წინასწარი ე.წ „გასაუბრების“ ჩატარების აუცილებლობით. სამართალდამცავები მიუთითებენ, რომ პირველადი, საბაზისო ინფორმაციის მისა-

ლებად თავდაპირველ ეტაპზე საჭიროა პირთან გასაუბრება, რისთვისაც საჭირო გარემო და აღჭურვილობა პოლიციის განყოფილებაშია, ხოლო დროებითი მოთავსების იზოლატორი უზრუნველყოფილი არ არის ამგვარი კომფორტი⁶⁶. გარდა ამისა, 2016 წლის მდგომარეობით, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულები-სა და შინაგანანენსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება #108-ის თანახმად, დროებითი მოთავსების იზოლატორში პირის გადაყვანისათვის საჭირო იყო დაკავების ოქმის დამტკიცება საგამოძიებო ორგანოს უფროსის მიერ. შესაბამისად, სამართალდამცავები აცხადებდნენ, რომ ზემოაღნიშნული პროტოკოლის შესასრულებლად საჭირო იყო პირის გადაყვანა პოლიციის განყოფილებაში, რათა დაკავების ოქმი დამტკიცებულიყო ორგანოს უფროსის მიერ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბრძანებაში მითითებული წესი შეიცვალა და 2016 წლის 2 აგვისტოს ცვლილებების საფუძველზე და ბრძანება #423 აღარ მოითხოვს დაკავების ოქმზე საგამოძიებო ორგანოს უფროსის ხელმოწერას. ასევე, დროებითი მოთავსების იზოლატორებში უკვე გამოყოფილია ცალკეული სივრცე, ოთახი, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იყოს საგამოძიებო მიზნებისთვის, მაგალითად დაკავებული პირის გამოსაკითხად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ საკანონმდებლო დონეზე ხარვეზი აღმოიფხვრა, თუმცა ამის მიუხედავად სამართალდამცავების მიერ ე.წ „განყოფილებაში გადაყვანის“ პრაქტიკა კვლავ პრობლემად რჩება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ ფაქტს, რომ დაკავებული პირის საპროცესო უფლებების უზრუნველყოფისა და არასათანადო მოპყრობის რისკების შემცირებისათვის, დაკავების ოქმის შედგენისთანავე პირის დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანა მასზე არასათანადო მოპყრობის რისკების მნიშვნელოვანი შემცირების გზა და დაკა-

ვებული პირის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტია. კერძოდ, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, პირი დაკავებულად ითვლება მისი თავისუფლების ფორმალური შეზღუდვის მომენტიდან. არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია იმ ფაქტს, თუ სად და რა პირობებში მოხდება პირის თავისუფლების შეზღუდვა, იქნება ეს პოლიციის მანქანა, განყოფილება თუ უბრალოდ საჯარო სივრცე. პირის დაკავება დამოკიდებული არ არის იმ მომენტზე, თუ როდის მიიღო პოლიციელმა მისი დაკავების გადაწყვეტილება, არამედ დაკავების მომენტად განისაზღვრება თავისუფლების შეზღუდვის მომენტი⁶⁷. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად დაკავებული პირი ავტომატურად სარგებლობს ბრალდებულისათვის გათვალისწინებული უფლებებით, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ბრალის დადგენილება. თუკი გავითვალისწინებთ ზემოთ განვითარებულ ლოგიკურ ჯაჭვს, დაკავებული პირი სარგებლობს ბრალდებულის სტატუსით. ბრალდებულის სტატუსით სარგებლობა კი ავტომატურად ნიშნავს, რომ მას წარმოეშვება მთელი რიგი საპროცესო უფლებები და გარანტიები, მათ შორის შეუძლია დაუყოვნებლივ ჩაიტაროს სამედიცინო შემოწმება. შესაბამისად, აუცილებელია დაკავებული პირის მოთავსება წინასწარი მოთავსების იზოლატორში, რაც შეამცირებს სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის რისკებს, ამასთან შესაძლოა დაკავების ოქმის შედგენა დროებითი მოთავსების იზოლატორში მიყვანის შემდეგაც.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორიც კი, რომელიც ამ დოკუმენტისთვის მნიშვნელოვანი რისკების შემცირების მექანიზმია, ყოველთვის სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს დაკავებული პირის უსაფრთხოებას. მაგალითად, ჩვენს წარმობებაში არსებულ გ.ც.-ს საქმეში დროებითი მოთავსების იზოლატორმა დაკავებული პირის მოთავსებისას არ აღწერა ამ უკანასკნელის დაზიანებები, რაც მიგვაჩნია,

რომ საკმაოდ შემაშფოთებელი შემთხვევაა, რადგან, იზოლაციაში მოთავსებულ პირს მინიმუმ უნდა ჰქონდეს გარანტია, რომ მის პრეტენზიას და დაზიანებებს დააფიქსირებენ. სხვა შემთხვევაში მსხვერპლი ყოველად დაუცველი რჩება სახელმწიფოს შესაძლო თვითნებობის წინაშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია შეიცვალოს აღნიშნული პრაქტიკა. კერძოდ, დაკავების მომენტიდან ბრალდებულმა რაც შეიძლება ნაკლები დრო უნდა გაატაროს სამართალდამცავებთან ერთად და დაუყოვნებლივ მოთავსდეს დროებითი მოთავსების იზოლაციაში, რათა არ დარჩეს თავისუფალი დრო და სივრცე სამართალდამცავთა მხრიდან დაკავებული პირის მიმართ არასათანადო მოპყრობისთვის. უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება - და ბოლოს, მნიშვნელოვანია შევხვით პოლიციელთა მხრიდან წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის შემთხვევების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილს, რომელსაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი არეგულირებს, ანიჭებს რა პირს უფლებამოსილებას, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მიუხედავად კანონის ამგვარი ჩანაწერისა, ჩვენს ხელთ არსებული საქმეების შესწავლით დგინდება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მათ წარმოებაში არსებულ მხოლოდ 3 საქმეზე განხორციელდა სასამართლოსადმი მიმართვა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით და არც ერთ მათგანზე ანგარიშის შედგენის დროისათვის, სასამართლოს მხრიდან გადაწყვეტილება მიღებული არ არის. ამასთან ერთმა განმცხადებელმა მოგვიანებით უკან გაითხოვა სარჩელი და უარი განაცხადა დავის გაგრძელებაზე, გაურკვევე-

ლი მოტივით.

ასევე, ინტერვიუების შედეგად გამოკითხული 11 დაზარალებულიდან, 9 პირმა განაცხადა, რომ მისთვის სხვადასხვა ეტაპზე ცნობილი გახდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების შესახებ, თუმცა მათგან მხოლოდ ერთმა მიმართა სასამართლოს ამ მოთხოვნით. აღნიშნული კი ადასტურებს მოსაზრებას, რომ მიუხედავად შესაბამისი ინფორმაციის ფლობისა, პოლიციელთა მხრიდან წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლთა დიდი უმრავლესობა თავს იკავებს მიმართოს სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, აღნიშნულის მიზეზების დადგენა კი ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს.

ჩვენს წარმობებაშია სამი საქმე, რომელიც სამართალდამცავთა მხრიდან უკანონო ქმედებებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას შეეხება. მათ შორის არის „ბირჟა მაფიის“ ერთ-ერთი წევრის გიორგი ქებურიას საქმე, სადაც შსს-სა და პროკურატურისგან მატერიალური და მორალური ზიანის სახით 40000 ლარამდე თანხას ვითხოვთ. საქმე პირველ ინსტანციაში მოსამზადებელ ეტაპზეა.

უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლში ჩამოთვლილ მარეაბილიტირებელი გარემოებების არსებობის შემთხვევებში სახელმწიფო ვალდებულია აანაზღაუროს მისი წარმომადგენლის მიერ მიყენებული ზიანი მიუხედავად ამ უკანასკნელის ბრალეულობისა (უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე #ბს-134-132(კ-17)). მარეაბილიტირებელ გარემოებასთან დაკავშირებით კი საკასაციო სასამართლო აცხადებს, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგის არსებობა (დადასტურებული უკანონო მსჯავრდება/ბრალდება, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონო შეფარდება, უკანონოდ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა) განაპირობებს ზიანის

ანაზღაურების ვალდებულის წარმოშობას, რადგან აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მომენტში ფორმალურად მართლზომიერი საპროცესო მოქმედებები მარეაბილიტირებელი გარემოების დადგენისთანავე სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლის მიზნებისთვის მიიჩნევა უკანონოდ.

სახელმწიფოს წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დროს დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს, როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის ანაზღაურება.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურების უფლება კონსტიტუციითაა გარანტირებული. 42-ე მუხლი მე-9 პუნქტის მიხედვით მატერიალური ზიანი, რომელიც შესაბამისად მტკიცდება პირის მიერ სრულად ანაზღაურდება.

GDI-ს მიერ წარმოებული სამი საქმიდან პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება მხოლოდ ერთ საქმეზეა ხელმისაწვდომი. ესაა თ.ტ.-ს საქმე, სადაც სასამართლომ პოლიციელთა მხრიდან უკანონო ადმინისტრაციული დაკავებისთვის ჩვენს მარწმუნებელს მორალური ზიანის სახით 100 ლარი მიაკუთვნა. მიუხედავად ზიანის სიმცირისა, მიგვაჩნია, რომ სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა მსგავს საქმეებში ზიანის ანაზღაურების მნიშვნელობისა და მისი სამართლებრივი საფუძვლების კუთხით, კერძოდ:

აღნიშნული გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა, რომ (1) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა ვრცელდება ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირზე (2) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შეწყვეტა ავტომატურად გულისხმობს ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ ცნობას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნებისთვის.

პირველ საკითხთან მიმართებით სასამარ-

თლომ დაადგინა, რომ ადმინისტრაციული დაკავებაზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მესამე ნაწილი, იმისდა მიუხედავად, რომ ზემოაღნიშნული ნორმა ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს მხოლოდ ადმინისტრაციული პატიმრობისთვის.

სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, რომლის თანახმადაც კონვენციის მე-5 მუხლიდან გამომდინარე თავისუფლების აღკვეთასა და გადაადგილების თავისუფლებას შორის განსხვავება არის უფრო ინტენსიურობისა და ხარისხის საკითხი, ვიდრე ბუნების ან არსის. საქალაქო სასამართლომ გაიზიარა აღნიშნული მიდგომა და მიუთითა, რომ ადმინისტრაციული პატიმრობა და ადმინისტრაციული დაკავება თავისი არსით ერთმანეთს ჰგვანან, კერძოდ ორივე ზღუდავს პირის კონსტიტუციით გათვალისწინებულ თავისუფალი მიმოსვლის უფლებას, ამასთანავე ორივე შემთხვევაში დგება ნეგატიური შედეგი, რაც გამოიხატება კონკრეტულ დაწესებულებაში გარკვეული დროით მოთავსებაში, პირის რეპუტაციაზე გავლენის მოხდენაში და უარყოფითი განცდების წარმოქმნაში. ამგვარად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ზიანის ანაზღაურების მიზნებიდან გამომდინარე 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი მოიაზრებს ადმინისტრაციული დაკავებასაც.

მეორე საკითხთან მიმართებით სასამართლომ დაადგინა რომ ადმინისტრაციული დაკავება უკანონოდ შეიძლება იქნას მიჩნეული, არამართო მაშინ, როდესაც პირი აღნიშნულს გაასაჩივრებს და კომპეტენტური ორგანო დაკავებას უკანონოდ ცნობს, არამედ მაშინაც როდესაც პირის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შეწყდება. სასამართლომ აღნიშნა, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნებისთვის დაკავების გასაჩივრებას და დაკავების უკანონოდ აღიარებას მხოლოდ მაშინ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, როდესაც პირი

ცნობილი არის სამართალდამრღვევად. ასეთ დროს პირის ზიანი აუნაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება ადმინისტრაციული დაკავების უკანონობა. აღნიშნულის დადგენის საჭიროება კი არ არსებობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შეწყვეტის შემთხვევაში, რადგანაც ეს გარემოება ავტომატურად განაპირობებს ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ მიჩნევას. სასამართლომ მიუთითა, რომ „პირის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შეწყვეტით დასტურდება, რომ პირს არ ჩაუდენია სამართალდარღვევა, რომლის აღკვეთის ან რომელზე სათანადო რეაგირების მოხდენის მიზანსაც ემსახურება ადმინისტრაციული დაკავება. სწორედ ამიტომ, აღნიშნული გარემოების არარსებობა საკმარისია პირისთვის ზიანის ანაზღაურებისთვის და აუცილებელი არ არის პირს გასაჩივრებული ჰქონდეს ადმინისტრაციული დაკავება ან დაკავება უკანონოდ იქნას აღიარებული შესაბამისი ორგანოს მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირს არ ექნებოდა ზიანის ანაზღაურების რეალური შესაძლებლობა.“

გარდა ზემოთ აღნიშნული მნიშვნელოვანი

სამართლებრივი განმარტებებისა სასამართლომ გადაწყვეტილებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხზე მსჯელობა შემოიტანა. აღნიშნულ საქმეში მოსამართლე ეყრდნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, საქმეზე #23/630. ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფო რესურსების მასშტაბის, მოცულობის და ბუნების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან არამართლზომიერ ქმედებათა განხორციელება ხშირ შემთხვევაში გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია ვერძო სუბიექტების მხრიდან განხორციელებულ ანალოგიური სახის ქმედებასთან შედარებით. ამიტომ მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების დაწესება ხელს უწყობს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა თვითნებობის და ძალაუფლების უკანონოდ გამოყენების პრევენციას. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ მსხვერპლთა მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მექანიზმის აქტიური გამოყენება ერთ-ერთი ბერკეტი უნდა გახდეს სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის.

თავი 9. რეკომენდაციები

როგორც აღნიშნულმა კვლევამ დაადასტურა არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიების კუთხით არსებული ვითარება ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს ეფექტური გამოძიების კუთხით და თითქმის ყველა მიმართულებით გარკვეული ღონისძიებების გატარებას საჭიროებს. კერძოდ:

- აუცილებელია მნიშვნელოვნად დაიხვეწოს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი “სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“, რათა კანონით გათვალისწინებულმა ინსპექტორის სამსახურმა უზრუნველყოს წამების, არასათანადო და ღირსების

შემლახავი მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიება. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სამსახური უფლებამოსილების განხორციელების დროს არ იყოს დამოკიდებული პოლიტიკურ ნება-სურვილზე და საჯაროობის მაღალი ხარისხით განახორციელოს მსგავსი ფაქტების გამოძიება;

- პოლიციის თანამშრომლები გადამზადდნენ დაკავების პროცედურების, პროპორციული ძალის გამოყენების პრინციპისა და ძალის გადამეტების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად.
- საქართველოს პროკურატურამ შეიმუშავოს სახელმძღვანელო მითითებები

ამ კატეგორიის საქმეებზე გამოძიების და საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების თაობაზე. სასურველია რომ აღნიშნული დოკუმენტი შეიცავდეს შემდეგ საკითხებს:

ა) გამოძიების დაწყების ვალდებულებას დაუყოვნებლივ, ყოველგვარი წინასწარი შემონმებისა გარეშე, კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გამოკვეთის შემთხვევაში;

ბ) გამოძიების დაწყების და საქმის გამოძიების პროცესში საქმისათვის სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის მინიჭების მექანიზმებს;

გ) იმ საგამოძიებო მოქმედებათა ჩამონათვალს, რომელიც დაუყოვნებლივ და აუცილებლად უნდა ჩატარდეს ამ კატეგორიის საქმეების გამოძიების დროს;

დ) დანაშაულის მსხვერპლთა დაზარალებულად ცნობის სტანდარტებს, კერძოდ: რა შემთხვევაში და როდის უნდა მოხდეს პირისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება, ასევე თუ რა უფლებებით არის აღჭურვილი დაზარალებული ამ კატეგორიის საქმეებზე გამოძიების პროცესში; მათი საჩივრებსა და შუამდგომლობებზე ეფექტური რეაგირების მექანიზმებს;

ე) არასათანადო მოპყრობის საქმეებზე სწორი კვალიფიკაციის მინიჭების საკითხებს;

ვ) ამ სახელმძღვანელო მითითებების დარღვევის შემთხვევაში შიდა დისციპლინური რეაგირების მექანიზმებს.

■ შესაბამის აქტებში შევიდეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც სამართალ-

დამცავებს დაეკისრებათ ვალდებულება, რომ პირი დაკავებისთანავე გადაიყვანონ დროებითი მოთავსების იზოლატორში. აღსანიშნავია, რომ ადრე მოქმედი ბრძანების თანახმად დაკავებული პირი პოლიციას გადაყავდა განყოფილებაში, ვინაიდან დმი-ში პირის მოთავსებისთვის განყოფილების უფროსის ხელმოწერა იყო აუცილებელი, ხოლო შემდგომ დმი-ში. აღნიშნული დანაწესი შეიცვალა, თუმცა პრაქტიკა დარჩა უცვლელი. ასევე, არ არსებობს ჩანაწერი, რომელიც წარმოშობს პოლიციელის ვალდებულებას დაუყოვნებლივ გადაიყვანოს დაკავებული პირი დმი-ში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და პროკურატურაში შეიქმნას ერთობლივი ეფექტიანი მექანიზმი დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაზიანებით მოთავსებულ პირთა განცხადებების რეაგირების თაობაზე;

■ საქართველოს პროკურატურის სისტემაში და საქართველოს უზენაეს სასამართლოში შეიქმნას ეფექტური მექანიზმი პოლიციელთა მხრიდან განხორციელებული წამების, არასათანადო და ღირსების შემლახავი მოპყრობის საქმეების აღრიცხვისა და შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების თაობაზე;

■ დავინროვდეს მთავარი პროკურორის უფლებამოსილება გამოძიების სხვა საგამოძიებო ორგანოსთვის გადაცემის ნაწილში. კერძოდ, მთავარ პროკურორს შეეზღუდოს უფლება ნებისმიერ დროს საქმე დაუქვემდებაროს ისეთ ორგანოს, რომლის წარმომადგენლის მიერაც შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზეც მიმდინარეობს გამოძიება.

■ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განისაზღვროს დაზარალებულის უფლება მიიღოს სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები.